

8

180 / 3  
1964

204



СОВЕТСКОЕ ИСКУССТВО • SOVIET ART • SOWIETKUNST

ՀԱՅԿՄՈՂ

ԼՂԸՄՅԸՂԻ

1964

180 /  
1964/4



გამომცემის 40 წელი



# საქართველო სენიონება

6976

თეატრი  
მუსიკა  
მხატვრობა  
ქინო  
კატეგორიული  
ქოროგრაფია

საბერთველს სსრ კულტურის სამინისტროს  
ფოვალთვიური შარნალი

8-1964







შ. გრიგორიანი  
უხვი შოსავალი

მთავარი რედაქტორი — ოთარ ევაძე

სარედაქციო კოლეგია: შალვა ამირანაშვილი, გელა ბანძელაძე, კარლო გოგოძე, ალექსი მაჭავარიანი, ნათელა სურუშაძე, გრიგოლ ფოფხაძე, დიმიტრი ჯანელიძე, ვანო წულუკიძე.



თ. აბაქელია  
შემოდგომა



# კულტურული

## კავშირების

### შეამოქმედებითი

#### ფორმები

#### და

### საშუალებები

დავით ჩხიკვიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი



სოფრე ცნობილია, ქართული საბჭოთა თეატრის ფუძემდებლები — კ. მარჯანიშვილი და ს. ახმეტელი ჩვენი თეატრის ალორძინებს უკავშირებდნენ ქართული ორიგინალური დრამატურგიის განვითარებას. ისინი ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ არ განვითარდებოდა საქართველოში მაღალი საბჭოთა თეატრალური კულტურა, თუ ყოველმხრივ არ გაძლიერდებოდა ქართული საბჭოთა დრამატურგია. ამიტომ იყო, რომ ისინი მჭიდროდ დაუკავშირდნენ ქართულ მწერლობას და სტიმული მისცეს ქართული დრამატურგიის განვითარებას (მ. დღადაი, პ. კაკაბაძე, კ. კალაძე, ს. შანშიაშვილი და სხვ.).

რაკი თანამედროვე აქტუალურ თემებზე უნდა ვფიქრობდეთ, ქართული პიესები ცოტა იყო, ამიტომ ქართული საბჭოთა თეატრი ფართოდ მიმართავდა რუსულ საბჭოთა დრამატურგიას. რუსულმა დრამატურგიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ პერიოდში ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში. რუსთაველის სახელობის თეატრში დაიდგა ბევრი რუსული პიესა, რომლებიც ასახავდნენ მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლების ისტორიასა და სოციალისტური მშენებლობის პერიოდს (გლეხების „საკმეიკი“, ბლოცერკოვსკის „საჭე მარცხნივ“, კირშონის „ქართა ქალაქი“, იანოვსკის „ყამირი“ და მრავალი სხვა).

ახალი ფურცელი ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში გადაშალა ს. ახმეტელის მიერ 1928-29 წლის სეზონში რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე დადგულმა ს. შანშიაშვილის „ანზორმა“, რომელიც ვსველოდ ივანოვის ცნობილი პიესის — „ჯაეშოსანი 14-69“ შემოქმედებითი გადამუშავების შედეგი იყო.

ს. ახმეტელი ტეშმარიტი მხატვრისა და დიდი საბჭოთა პატრიოტის პოზიციებიდან უყურებდა ვს. ივანოვის პიესას. იგი ხედავდა, რომ მშრომელი მასების სოციალიზმისათვის ბრძოლის ერთ-ერთი გმირული ისტორიის ეროვნულ სახეებში გამოვლენით არ ირღვევა პიესის იდეური ქსოვილი, მეორე მხრივ, ეს საშუალებას იძლევა უფრო გამაგვეთილად იქნეს ასახული ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეა, გაფართოვდეს პიესის მოქმედების სოციალისტური და პოლიტიკური არე, უფრო გასაგები გახდეს პიესაში გამოხილი ვითარებანი ქართველი მაყურებლისათვის.

თეატრის მხატვრული ხელმძღვანელის ვარაუდი გამართლდა. „ანზორი“ ხელოვნების ზეიშად იქცა. იგი უდიდესი მოვლენა იყო ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში. საყოველთაოადა აღიარებული, რომ „ანზორის“ დადგმით რუსთაველის სახელობის თეატრმა გაარკვია თავისი შემოქმედებითი სახე, მხატვრული განვითარების მიმართულება და კონცეფცია.

როდესაც 1930 წელს რუსთაველის სახელობის თეატრი საგასტროლოდ წავიდა ქ. მოსკოვში და მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრების საკავშირო ოლიმპიადაში, მოსკოვის ცენტრალურმა პარტიულმა და საბჭოთა პრესამ, თეატრალურმა საზოგადოებამ და მაყურებლებმა უდიდესი შეფასება მისცეს, კერძოდ, „ანზორს“. ა. ლენინარსკი აღტაცებით წერდა, რომ „რუსთაველის თეატრმა გააოცა მოსკოვი. მოსკოვისა და ჩემი აზრითაც, რუსთაველის თეატრი წინაურდებამ მსოფლიო თეატრების პირველ რიგში“.<sup>1</sup>

ვს. ივანოვის „ჯაეშოსანი“ არ იყო უცხო მოსოველი მაყურებლისათვის. იგი დიდი წარმატებით იდგმებოდა მოსკოვის საზამტვრო თეატრის სცენაზე. მიუხედავად ამისა, „ანზორმა“ მართლაც გააოცა მოსკოვის მაყურებელი. იგი ტეშმარიტი და მაღალი შემოქმედებითი ათვისების შედეგად შექმნილი სპექტაკლი იყო, რის გამოც მასში ახლებურად, ახალ მხატვრულ ფორმებში აქვრდა ვს. ივანოვის შესანიშნავი პიესა. თეატრმა პირველ პლანზე წამოსწია მშრომელი მასები,

<sup>1</sup> ვს. „Вечерняя Москва“, 1930 წ. 8 ივლისი.



მთელი ხალხი. რეჟისორმა შექმნა ბრწყინვალე მასობრივი სცენები, რომლებიც უაღრესად ძლიერი დრამატუზმით, ტემპერანტით, რიტმითა და ემოციური პლასტიკურობით აღწევდა იქაონისათვის დამახასიათებელი მაღალი რეჟოლუციური პათოსის გადმოცემას. საყურადღებოა, რომ როდესაც ეს სპექტაკლი წახს. მ. კიროვმა, რომელიც სამოქალაქო ომის წლებში კავკასიაში ხელმძღვანელობდა ინტეგრაციის წინააღმდეგ პირიქებს, ს. ახმეტელს უბრძანა: „იქით... აი ეს... ეს...“ მისი, პირდაპირი მხედ ვარ, ჩავერიო ბრძოლაში ვერ ვინტრდები ადგომზე, და ვვალაფერი როგორ ნაცნობია ჩემთვის, ასლოა... „ანზორი“ — თითქოს საკუთარი ცხოვრებიდან ფურცელს ვკითხულობდები.<sup>1</sup>

„ლიტერატურნაია გაზეტა“ თავის მოწინავე წერილში „გავამოიღოთ საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურული ურთიერთმოქმედებას“ წერდა: „რად ღირს მატრო, „ანზორის“ მაგალითი რუსთაველის თეატრშიც. „ა ა ნ ზ ო რ ი“ ა რ ა რ ი ს ქ ა რ თ უ ლ ნ ი ა დ ა გ ზ ე უ ბ რ ა ლ ო დ გ ა დ ა ტ ა ნ ი ლ ი „ჯ ა ვ შ ო ს ა ნ ი მ ა ტ ა რ კ ე ბ ლ ი“. ი გ ე ნ ა ბ ი - ჯ ი ა ვ ო ნ დ ... ა რ ა პ ა ტ ა რ ა ნ ა ბ ი ჯ ი. უ ვ ე ე მ ა რ ტ ო ეს ერთი მაგალითი ნათლად ლაპარაკობს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურული განვითარების ერთმანეთისათვის გაზარების გაძლიერებას“<sup>2</sup> (ზახი ჩვენია. დ. ჩ.).

საბჭოთა ხალხის ეროვნულ კულტურათა მჭიდრო და ინტენსიური კავშირები ხორციელდება მრავალი გზითა და საშუალებით. ზემოთ ითქვა იმის შესახებ, რომ ეს კავშირები ურდევია, რადგანაც ეს შემოქმედებითი კონტაქტები სოციალისტური საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი მთავარი კანონზომიერებაა — ეროვნულ საკითხში ორი ძირითადი ისტორიული ტენდენციის გამომხატველია და დაფუძნებულია საბჭოთა სახელმწიფოს ერთიან ეკონომიურ, პოლიტიკურ და იდუოლოგიურ საყრდენზე.

საბჭოთა ხალხის ურდვევი მეგობრობის პირობებში ამა თუ იმ ეროვნული კულტურის ქმნილება მთელი საბჭოთა ხალხის კუთვნილება ხდება. საბჭოთა კავშირის ერებს შორის მიმდინარეობს კულტურულ დაბრუნებათა, კულტურის ნაწარმოებათა ურთიერთგაცვლა, რაც ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა. კულტურის ნაწარმოებათა ურთიერთგაცვლაში ჩვენ ვგულისხმობთ: ეროვნული კულტურების დგადების მოწყობას, ლიტერატურისა და პოეზიის დღეების ჩატარებას, თეატრების გასტროლებს, მხატვრული პროფესიული და თვითმოქმედი კოლექტივების ურთიერთგაცვლას, მუსიკალური სადამოების მოწყობას და მუსიკალური ნაწარმოებების ურთიერთგაცვლას, სახვით ხელოვნების გამოფენების მოწყობას, თეატრებისა და მხატვრული კოლექტივების რეპერტუარში მიმდებ რესპუბლიკათა მხატვრული ნაწარმოებების შეტანას, გაერთიანებული სახელმწიფო კონფერენციების მოწყობასა და მცენერების ამა თუ იმ პრობლემებზე ენობრივი კვლევითი მუშაობის ჩატარებას და ა. შ.

სოციალისტური საზოგადოების განვითარებასთან ერთად მრავალდება საჭირო გზები და საშუალებები საბჭოთა ხალხის ურთიერთკავშირების განსახორციელებლად. სოციალისტური კულტურის სულ უფრო მეტი და მეტი განავითარებულია ძეგები უჩნდება. ასე, მაგალითად, სულ რაღაც სამოიდე წლის განმავლობაში უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში ჩატარდა რამდენიმე ათეული ისეთი მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიება, რომლებიც ნათლად შეტყვევებენ იმის შესახებ, რომ კულტურულ დღებზე უფლებათა ურთიერთგაცვლა, კულტურის დგადებისა და ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა ურთიერთშეხვედრები იქცა მტკიცე ტრადიციად, რომელიც საბჭოთა ხალხის კულტურათა ურთიერთგამდიდრების მნიშვნელოვანი საშუალებაა. 1954 წელს ჩატარდა უზბეკეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დგადა მოსკოვში. 1963 წელს მოეწყო რუსული ლიტერატურისა და ხელოვნების დგადა უზბეკეთის რესპუბლიკაში. ამ უკანასკნელს წინ უსწრებდნენ ტაჯიკური, ყაზახური და სომხური ლიტერატურის დგადებები ტაშკენტსა და სამარყანდში. უზბეკეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები ესტუმრნენ უკრაინის, ტაჯიკეთს, აზერბაიჯანს.

კულტურის ნაწარმოებათა ურთიერთგაცვლა იმ განადიოზულ მასშტაბებზე ლაპარაკობს ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკთა მიერ თავისი რესპუბლიკის სახელმწიფო იქით ჩატარებული დგადებები, ლიტერატურული კვირეულები და სხვ. ორჯერ ჩატარდა (1937 და 1958 წწ.) ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დგადა ქ. მოსკოვში. მანამდე რუსთაველის სახელობის და მარჯანიშვილის სახელობის თეატრები ორჯერ იყვნენ საგასტროლად მიწვეული მოსკოვში, ლენინგრადში და ხარკოვში. ომის წლებში, 1944 წ., ქ. მოსკოვში მოეწყო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების კვირეული. 1959 წელს დიდი ტრაქტუმიტი ჩატარდა ქართული კულტურის დგადა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. წარმატებები ხედა რუსთაველის სახელობის თეატრის გასტროლებს მოსკოვსა და კიევში, ბაქოსა და ერევანში, ხლო მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მოგზაურობას — მოსკოვსა და რიგაში, ბაქოსა და ერევანში. ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის, „მეტირ დგადა“ უწოდეს მოსკოვლებმა პარტიის XX I ყრილობისადმი მიძღვნილ ქართული კულტურის საღამოს, რომელიც მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყო. უკანასკნელი წლების მანძილზე ტრადიციად იქცა ქართული ხალხური, სიმფონიური, საოპერო, კამერული და სექსტრადიო მუსიკის სადამოების ჩატარება მოსკოვში, ლენინგრადში და მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრებში. ყოველწლიურად ტარდება ამირკავკასიის თეატრებისა და მუსიკალური კოლექტივების ურთიერთგაცვლა მოკერის სახელწოდებით — „თეატრალური გაზაფხული“, „მუსიკალური გაზაფხული“. მილიონობით მაყურებელი და თავყვინისმცემელი მკაცრ საბჭოთა კავშირში ქართული ხალხური ცეცხის სახელმწიფო ანსამბლს, რომელიც ნიჭიერი ხარბიერი მოცეკვავეები — ნ. რამიშვილი და ილ. სუბინიერი ხელმძღვანელობენ. ანსამბლმა საბჭოთა კავშირის სახალხოების იქითაც (ამერიკა, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, სკანდინავიის ქვეყნები, სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკები, ინდოეთი, ავ-

<sup>1</sup> ს. ახმეტელი, კრებული, ხელოვნება. თბ. 1958 წ. გვ. 258.  
<sup>2</sup> ვ. ა. „Литературная газета“, 1930 წ. 16 ივნისი.



სტარლია, ახალი ზეღანდა და სხვ.) გაიტანა ქართველი ხალხის ბრწყინვალე ქორეოგრაფიული კულტურა.

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე თბილისელ მსახურეზელს საშუალება ჰქონდა თავის ქალაქში ენახა რუსეთისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი თეატრები და მუსიკალური კოლექტივები. თბილისში ჩატარდა მოსკოვის დიდი თეატრის მოსახვედრისა და „სოფრემენიის“ თეატრის, ლენინგრადის აკადემიური დრამატული თეატრის, ზაპრორისკის, ლვოვის, ბაქოს, ერევნისა და სხვა ქალაქთა მუსიკალური და დრამატული თეატრების გასტროლები.

ქართულმა საოპერო და დრამატულმა ნაწარმოებებმა მტკიცედ დაიპყვიდნენ ადგილი საბჭოთა კავშირის ხალხთა თეატრების რეპერტუარში, ისევე როგორც საქართველოს თეატრები მნიშვნელოვან ადგილს უთმობენ თავის რეპერტუარში რუსულ და მოძვე ხალხების დრამატურგიას. ასე, მაგალითად, ზ. ფალიაშვილის „ახალსაღმად და ვთარი“ დაიდაგა მოსკოვის, ხარკოვის, ლენინგრადის, სოჭის თეატრებში, „დაიხა“ — მოსკოვის, ლენინგრადის, ხარკოვის, კიევის, ოდესის, ერევნის, ალმა-ატის, ბაქოს თეატრებში. არ დარჩენილა საბჭოთა კავშირის თითქმის არც ერთი დიდი საოპერო და მუსიკალური თეატრი, სადაც არ დადგმულიყოს ვ. დოლიძის „ქეთი და კოტე“. რესპუბლიკის ფარგლებს გასცა ალ. შაჰავერიანის „ოტელიო“, ან. ბალანჩვიადის „მოთვის გული“, ა. ბუკის „დეუპატრეველი სტუმრები“, ვ. გავაილის „წითელქაღა“. საპატიო ადგილი უკავია მოკავშირე რესპუბლიკების კულტურულ ცხოვრებაში თანამედროვე ქართველი კომპოზიტორების — შ. შველიძის, ან. ბალანჩვიადის, ალ. შაჰავერიანის, ო. თაქთაქიშვილის, დ. თორაძის, რ. ლაღიძის, ს. ცინცაძის, ალ. შავერზაშვილის, ს. ნახშიძის, ბ. კვერნაძისა და სხვ. საოპერო, საბალეტო თუ სიმფონიურ-კამერულ ნაწარმოებებს.

ტრადიციად იქცა ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების გამოყენების მოწყობა მოსკოვსა და მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში. ქართულ საბჭოთა მხატვრობას კარგად იცნობენ მთელ საბჭოთა კავშირში არა მარტო სახვითი ხელოვნების გამოყენებით, არამედ იმითაც, რომ ხდება ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების ნაწარმოებთა ურთიერთგაცვლა მოკავშირე რესპუბლიკების სამხატვრო გალერეების შორის.

ვევლავს უფრო ქმედითი საშუალება, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობების განმტკიცების, თარგმნითი ლიტერატურა.

თარგმანს ყოველთვის, მსოფლიო კულტურის განვითარების ყოველ ეტაპზე ექცეოდა ყურადღება. ნ. ვ. ჩერნიშევსკი აღნიშნავდა თარგმნითი ლიტერატურის უდიდეს მნიშვნელობას ხალხთა კულტურული კავშირების განმტკიცებაში. ვ. ბრისუსი წერდა, რომ „...ქვეყნარტ ზეგავლენას ლიტერატურაზე უხუცო მწერლები ახდენენ მხოლოდ თარგმნის საშუალებით“.<sup>1</sup> თომას მანი თავის წერილში უნგრელი გამომცემლის ესე დიემორის სახელზე აღნიშნავდა რა თარგმნითი მოღვაწეობის სირთულეს, ამავე დროს მიუთითებდა, რომ თარგმნითი ლიტერ-

რატურას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხების კულტურულ განვითარებაში. იგი წერდა: „მაგრამ საერთოდ ვინ გაბედავს აუკრძალოს ხალხებს თარგმნის ერთი ენაზე მეორეზე მხრით იმ მოსაზრებით, რომ ეს თავის საფუძველში შეუძლებელია? გერმანელთა მიმდრეკილბა ყოველთვის უცხოურისადმი და სწრაფვა გაეცნონ სხვა ხალხთა მიღწევებს, რამდენადაც შესაძლებელია, თავიანთ საკუთარ ენაზე, წარმოადგენს მისი არც თუ ყველაზე უფო თვისება. ისინი მუდამ იყვნენ ყველაზე გულმოდინე მთარგმნელები, და იყო დრო, როცა ამ გზით მნიშვნელოვნად აიმაღლეს თავისი საკუთარი კულტურა“.<sup>2</sup>

მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა თარგმნითი ლიტერატურის საქმის მენეჯერულ და მხატვრულ საწყისებზე ორგანიზაციას საბჭოთა კავშირში. თარგმნითი ლიტერატურის გამოცემის საქმეზე ჩვენს ქვეყანაში განაწილებული მასშტაბებით მიიღო. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში თარგმნითი ლიტერატურის გამოცემას და გაერცლებს. თუ 1934 წელს საბჭოთა კავშირის მიმდებ ხალხთა ენაზე გამოცემულ იქნა რუსი მწერლების 481 ნაწარმოები 3,5 მილიონი გეგუმპლართ, 1953 წელს უკვე გამოცემა 1022 დასახელების წიგნი 16 მილიონი ტირაჟით. ამავე წლებში მოძვე რესპუბლიკების მწერალთა ნაწარმოებები რუსულ ენაზე გამოცემა შესაბამისად 150 და 419.<sup>3</sup> აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით გაიზარდა თარგმნითი ლიტერატურის გამოცემა უკანასკნელი ათი წლის მანძილზე.

მოდებ რესპუბლიკების ლიტერატურათა ფართო ურთიერთ-გაერცლებაზე ლაპარაკს ასეთი მაგალითი: 1940 — 1945 წლებში, მიუხედავად სამამულო ომის მიმდებ წლებისა, ესტონური ენაზე გამოცემა 581 რუსული და 83 საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ლიტერატურათა ნაწარმოები. 1958 — 1959 წლებში კი ესტონური ენაზე გამოცემული საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურების ნაწარმოებები 75-ს შეადგენდა. ასეთივე მასშტაბები ჰქონდა ესტონური ლიტერატურის სხვა საბჭოთა ხალხების ენებზე გამოცემასაც. ასე, მაგალითად, 1954 — 1957 წლებში მოსკოვსა და ტალინში რუსულ ენაზე გამოცემა ესტონური ლიტერატურის 28 ნაწარმოები.<sup>4</sup>

განსაკუთრებით გაიზარდა თარგმნითი ლიტერატურის გამოცემა უკანასკნელ წლებში. მხოლოდ 1960 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა ენებზე გამოცემა 5329 ნაწარმოები რუსული ლიტერატურისა, 23 — უკრაინული ლიტერატურისა, 21 — ბელარუსული ლიტერატურისა, 41 — უზბეკური ლიტერატურისა, 25 — ყაზახური ლიტერატურისა, 20 — ქართული ლიტერატურისა, 21 — აზერბაიჯანული ლიტერატურისა, 16 — ტაჯიკური ლიტერატურისა, 38 — სომხური ლიტერატურისა და ა. შ.<sup>5</sup>

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თარგმნითი ლიტერატურას რევოლუციის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი. მას

<sup>1</sup> В. Брюсов «Предисловие переводчика», წიგნი. Элар Но, 1924 წ. გვ. 7.

<sup>2</sup> Мастерство переводчика, сб. 1962 года, 1963 წ. გვ. 532.

<sup>3</sup> Д. Чхиквишвили, О национальной форме социалистической культуры. თბ. 1955 წ. გვ. 22.

<sup>4</sup> Э. Я. Сигель. Развитие взаимные связи «Взаимосвязи и взаимодействия национальных литератур». М. 1961 წ. გვ. 326.

<sup>5</sup> Советская печать в период между XX и XXII съездами КПСС, 1961, გვ. 9.





კუთვინის მთელი რიგი მნიშვნელოვანი შეინიშნებები და აზრები თარგმნითი პრობლემების შესახებ. ვ. ი. ლენინი თვითონ იყო ბრწყინვალე მთარგმნელი. ვ. ი. ლენინს კუთვნიან თარგმანები ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, პოლონურ, შვედურ, დანიურ, უკრაინულ, ბერძნულ და ლათინურ ენათაგან. ჯერ კიდევ მეტსაბამებელ საკუთრის მიწერულად ვ. ი. ლენინის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილი იყო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მთელი რიგი ნაშრომები. ლენინისვე კუთვნიან პეველის, ფიფერბახის, ბერკლის, კლუზუვიციის, კაუციის, ლასალის, გიბსანისა და სხვათა თარგმანი. ვ. ი. ლენინის თარგმანები ხასიათდება პოლიტიკური სიმკაცრით, სისადავით.

ვ. ი. ლენინი იყო აგრეთვე რედაქტორი მრავალი ფილოსოფიური, ისტორიული, ეკონომიური და სოციალდემოკრატიული ხასიათის თარგმნითი ლიტერატურის გამოცემებისა. ვ. ი. ლენინთან არა ერთი რეცენზია და შენიშვნები უძებნა ვა. თ. იმ თარგმნილ ნაწარმოებს, რომლებშიც მან ჩამოაყალიბა მწყობრივი თეორიული შეხედულებები თარგმანის შესახებ.

ვ. ი. ლენინის თავის კრიტიკულ შენიშვნებსა და რეცენზირებებში მოქაყნებ მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ არასწორ ან კიდევ ტენდენციურ თარგმანს მივყავართ ორიგინალის პირობრივ და პოლიტიკურ დამახინჯებაში. ვ. ი. ლენინი გამოიღობდა სიტყვა-სიტყვით თარგმანის წინააღმდეგ, იგი ემართება სტრუქტურულ თარგმანში, ამითარხებადა მათ, ვინც უხუტრ აზრობრივი თარგმანის ნაცვლად უპასუხისმგებლოდ უბრალად თარგმანის თარგმანს აკეთებდა. ენგელსი „კაპიტალის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელებისაგან მოითხოვდა არა მარტო რიგის (გერმანულია და ინგლისურის) ხელმწიფებით ცოდნას, არამედ აუცილებლად მიიჩნევდა იმ სოციალურ-ეკონომიური პირობების შესწავლას, რომელშიც შეიქმნება ესა თუ ის ნაწარმოები.<sup>1</sup>

მაქსიმ გორკი თარგმნილი საქმის მყარ ნიდაგაზე დაყენებაში უხდავდა საბჭოთა ხალხის ერთგულ კულტურათა ურთიერთდაახლოების ერთ-ერთ ყველაზე უფრო ძლიერ საშუალებას. აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკომუნურნო გაზეთის რედაქტორის სახელზე 1934 წელს გაგზავნილი წერილში იგი წერდა: „პირდაპირ იდეალური იქნებოდა, რომ საბჭოთა კავშირში შემაგალ ხალხთა თითოერთი ნაწარმოები ითარგმნებოდას საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ენაზე ასეთ შემთხვევაში ჩვენ უფრო სწრაფად ვისწავლიდით ერთიმეორის ერთგულ-კულტურული თვისებების და თავისებურებათა გაგებას, ხოლო ეს გაგება კი დაამჭარებდა პროცესს იმ ერთიანი სოციალისტური კულტურის შექმნისა, რომელიც, მართალია, არ წავლიდა თითოეული ტომის ინდივიდუალურ სახეს, მაგრამ შექმნიდა ერთ მოლიან, დიდებულ და უღვიველ სოციალისტურ კულტურას, რომელიც განახლებდა მთელ მსოფლიოს“.<sup>2</sup> ჩვენ მოწამენი ვართ იმისა, თუ როგორ ხორციელდება ჩვენს ქვეყანაში მაქსიმ გორკის ეს შესანიშნავი სიტყვები.

საბჭოთა მწერლების II ყრილობაზე განაცხადობ იქნა მოსმენილი მოხსენება საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურ-

რების მხატვრული თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ.<sup>3</sup> ყრილობაზე აღინიშნა, რომ ერთგულ კულტურათა ურთიერთამიდრებოა ჩვენში ხორციელდება როგორც რუსული ლიტერატურის საბჭოთა ხალხების ენებზე, ისევე საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა რუსულ ენაზე თარგმანის საშუალებით, სოციალისტური საზოგადოების მნიშვნელობის წლებში და, განსაკუთრებით, უკანასკნელ პერიოდში ბევრი რამ გაკვირდა საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა რუსულ ენაზე თარგმანის დროში, აქ ლაპარაკია არა მარტო თარგმანთა რაოდენობაზე, არამედ თარგმანის მხატვრულ ღირებულებაზე. ყრილობაზე აღინიშნა ზოგიერთ მოძიე ენაზე რუსული ორიგინალური ნაწარმოებების თარგმანის დაბალი მხატვრული ხარისხი, რაც ხელს უშლის საბჭოთა ხალხების მიერ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო მდიდარი რუსული ლიტერატურის ათვისების საქმეს.

ნაკლავებები, რომლებიც არსებობს მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის საქმეში, ძირითადად გაპირობებულია იმით, რომ თარგმანის თეორია და პრაქტიკა ჯერ კიდევ არაა სრულყოფილად დამუშავებული. მთელ რიგ შემთხვევაში მხატვრული თარგმანის საქმეს ხელს ჰკიდებენ შემთხვევითი პირობები, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო მხატვრული მონაცემები.

მხატვრული ლიტერატურის თარგმანი თავისი სირთულით ახლთა ორიგინალურ მხატვრულ შემოქმედებასთან, რადგანაც აქ საქმე გვაქვს მხატვრულ სიტყვასთან, პოეტურ ხელოვნებასთან. ორიგინალის იდენტური მნიშვნელობის მხატვრული სიტყვის სურნელს სხვა ენაზე თავისი სირთულით ორიგინალის შექმნის მიზნებს უახლოვდება. ამით აიხსნება ის, რომ მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები თითქმის შეუძლებლად თვლიდნენ პოეტურ ქმნილებათა სხვა ენაზე თარგმანს. ამას გარკვეული აზრით იმის მალად მხატვრულ პაროსაზეც ავრცილებდნენ, თვლიდნენ, რომ თარგმანში იყარგება ორიგინალის ბუნებრივობა, ირდევდა რიტმი, იყარგება მელოდიკა, ენობრივი ნიუანსები და ზოგ შემთხვევაში — ნაწარმოების შინაგანი მიზანსწრაფულობაც კი.

მხატვრული თარგმანი იმდენად რთული შემოქმედებითი პროცესია, რომ ვ. ბრიუსოვი, რომელიც რუსულ ლიტერატურაში ერთ-ერთ ბრწყინვალე მთარგმნელადაა აღიარებული, იძულებული იყო ეთქვა: „გადმოსცე პოეტის ქმნილება ერთი ენაზე მეორე ენაზე — შეუძლებელია; მაგრამ შეუძლებელია ანად დროს უარი თქვა ამ ოცნებაზე“.<sup>4</sup>

მხატვრული თარგმანი ყველაზე უფრო ძლიერი საშუალება იმისათვის, რომ ხალხები კულტურულად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, ერთმა ხალხმა შეისწავლოს მეორე ხალხი. მხატვრული თარგმანი ქმნის ერის მართალ სურათს, იძლევა ხალხის სულიერი სამყაროს გაგების საშუალებას. ამიტომ შეუძლებელია ცაცობრიობამ უარი თქვას მხატვრულ თარგმანზე. კიდევ მეტა: მხატვრული თარგმანი სოციალისტური ერების ძმური, მეგობრული კავშირების გამომსატველია, ამ მძობის გამშტაციების საშუალებაა, ამიტომ თარგმნითი საქმიანობა

<sup>1</sup> ვ. გაბრილიაძე, თარგმანის ენისა და სტილის საკითხებისათვის, „მედიკოსი“, 1951 წ. № 4.

<sup>2</sup> „Правда“ 19 სექტემბერი, 1928 წ.

<sup>3</sup> Л. Антальковский, М. Ауезов, М. Рыльский, Художественные переводы литератур народов СССР: «Дружба народов», 1955 წ.

<sup>4</sup> В. Брюсов, избр. соч. в двух томах т. II, 1955. з. 188.

ჩვენში სახელმწიფო მნიშვნელობის ფაქტორად არის მიჩნეული. ცნობილი რუსი პოეტი ნ. ზაბოლოცი, რომელიც თარგმანის კლასიკოსადაა აღიარებული საბჭოთა ლიტერატურაში, წერდა, რომ „მთარგმნელი ემსახურება ხალხს მეგობრობის საქმეს, მათ ურთიერთგამდობრებას კულტურის სფეროში. ამიტომ მისი შრომა და ყველა მისი პროფესიული ჩვევები განისაზღვრება ამ ძირითადი მიზნით“<sup>1</sup>.

1. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები, უპირველეს ყოვლისა, გამოდიოდნენ ე. წ. ანბანური, სიტყვა-სიტყვითი თარგმნის წინააღმდეგ. ანბანური, სიტყვა-სიტყვითი თარგმანს აღარჩებენ ორიგინალს, უკარგავს მას აზრს, მხატვრული ზემოქმედების ძალას. ფორმალისტური პედანტიზმი, ლინგვისტური ადეკვატიზმი მტერია მხატვრული აზროვნებისა, ამდენად იგი მიუღებელია მხატვრული თარგმანის საქმეში. ზვირად ნახავთ თარგმანს, სადაც სიზუსტითაა დაცული რითმა, რიტმა, მეტრი და ა. შ., მაგრამ დაკარგულია მხატვრული ნაწარმოების ენობრივი კოლორიტი. სალიტერატურო ენაში დიალექტების, არქაიზმებისა და სახალხო-სალაპარაკო ენის თავისებურებათა ზომიერი გამოყენება საშუალებას აძლევს მწერალს გამოკვეთოს მხატვრული ტიპები, ზუსტ ფსიქოლოგიურ და ეროვნულ-სპეციფიკურ თავისებურებებში დახატოს სახეები. მხატვრული თარგმანის ლინგვისტური ადეკვატიზმის პრინციპებით განხორციელება უკარგავს თარგმანს ენობრივ და ეროვნულ კოლორიტს. თარგმანში უნდა მოინახოს ამ სპეციფიკის გამომხატველი არა სიტყვა-სიტყვითი, არამედ შესატყვისი, ისტორიული სპეციფიკით გაპირობებული, აზრობრივი გვერვალენტები.

2. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები სასტიკად გამოხდნენ აგრეთვე მეორე უკიდურესობას თარგმანში, ე. წ. სუბიექტივიზმს, მიყრდნობულ „ავტორიზირებას“, რომელიც ამბინჯებს ორიგინალის არა მარტო ენობრივ-სტილისტიკურ თავისებურებას, არამედ მის შინაარსსაც. სუბიექტივიზმი სოციალურ-კლასობრივი და ფილოსოფიურ-ისტორიული ლიტერატურის თარგმანში განსაკუთრებით გავრცელებულია ბურჟუაზიულ იდეოლოგიაში. ამ გზით რეაქციული კლასები საგანგებოდ ამბინჯებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის ნაწარმოებთა არსს, ცდილობენ გამოეფიტონ მისი რევოლუციური სულისკვეთება.

3. მხატვრული თარგმანი უნდა ხორციელდებოდეს არა სიტყვის, არამედ ცოცხალი მხატვრული აზრის მიხედვით, როგორც ცნობილია, ლიტერატურა შენდება სიტყვაზე. სიტყვები ქმნიან ფრაზას, რომელიც გამოხატავს აზრს. მხოლოდ ფრაზას, როგორც მხატვრული აზრის ყველაზე უმცირეს ერთეულს, შეუძლია შეინარჩუნოს თარგმანში ორიგინალის აზრი, შინაარსი, ფორმის მთლიანობა, დედანის არომატი, მისი განუმეორებელი სპეციფიკა, ენის არქიტექტონიკა, მისი სტილი და ენოლოგიური თავისებურება.

მთარგმნელმა საკუთარ ენაზე უნდა ასახოს ის, რაც სხვა ენაზე სხვის მიერაა ასახული. ამისათვის მთარგმნელმა კარგად უნდა იცოდეს არა მარტო საკუთარი ეროვნული ენა, არამედ ორიგინალის ენაც.

# მოსკოვის

# მცირე

# თეატრი

# საქართველოში

## გრიგოლ ბუნიაშვილი

ხელოვნების დამსახურებელი მოღვაწე



უსულ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებას მართებულად შეუძლია იამაყის მდიდარი ისტორიული წარსული. ამ წარსულში განსაკუთრებული დიდებით არის მოხილი მოსკოვის მცირე

თეატრი. იგი 1824 წელს დააარსდა და 140 წლის მანძილზე იცავდა და ანიჭებდა რეალისტურ ტრადიციას, რომელშიც მკვეთრად იხატებოდა მოწინავე აზროვნება, ხალხურობა, სიმართლე, ბუნებრივობა. რუსული სცენური რეალიზმის მამამთავარი, მიხაილ შჩეპკინი, მოსკოვის მცირე თეატრში მოღვაწეობდა მისი დაარსებდანვე.

<sup>1</sup> Мастерство перевода, 1963. 33. 14.





მებატონისაგან გამოსყიდულ ყმა-გლეხს შჩეკინს პროგრესული დემოკრატიული მისწრაფებანი ასულდგმულმბდა. ასევე აზრდებდა შჩეკინის დროს მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობთა მტრე წელი, მათ შორის შესანიშნავი ტრაგიკოსი პავლე მოჩალოვი. პირველ ხანებში მოსკოვის მცირე თეატრის დასი უშობაერსად ყოფილი ყმებისა და ნაყმის შეილებსაგან შესდგებოდა. ხალხის წიაღიდან გამოსული სცენის ოსტატები არ ერიდებოდნენ ბატონუშვირი, ბიუროკრატიული შარფვა-ვაგფეობის წინააღმდეგ დაპირისპირებას, და მათი მართალი სიტყვა სცენიდან საბრალდებლო აქტად გაისმოდა.

სცენური რეალობი სწორედ ამ მოწინავე დემოკრატიულმა ტენდენციებმა დაბადა. შჩეკინმა მხატვრული სისტემაში მოიყვანა ემპირიული ჩვევები სცენური ბუნებრივობისა და სიმართლისა, რომელიც მას და მასზე ადრე რუსული თეატრის მსახიობებს ახასიათებდათ და დღემორჩილი მალადიდურ მისწრაფებას, — რუსი ხალხის განმსათავისუფლებელ მოძრაობას. ამიტომ იყო რომ გერცენი მოსკოვის მცირე თეატრს — «ცხოვრების საციო თვისი» გადამწყვეტ უმაღლეს ინსტანციას უწოდებდა. მოსკოვის მცირე თეატრში სცენური რეალობი დამკვიდრდა, როგორც წამყვანი მხატვრული მეთოდი და შემდეგ მთელს რუსულ თეატრალურ ხელოვნებაზე გავრცელდა.

მცირე თეატრის შემოქმედებით კრედოს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რუსული რეალისტური დრამატურების განვითარებისათვის. აქ შესანიშნავი ოსტატობით სახიერდებოდა ა. გრიბოედოვის, ნ. გოგოლის, ა. ოსტროვსკის, ა. ტურგენევის, ლ. ტოლსტოისა და მრავალ სხვათა საუკეთესო დრამატული ნაწარმოები.

მიუხედავად იმისა, რომ იგი საიმპერატორო თეატრად ითვლებოდა და მუდამ პროგრესულ-დემოკრატიული იდეების სადარაჯოზე იდგა, მისი სცენიდან გაისმოდა მოწოდება ძალმომრეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ, უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, მოსკოვის მცირე თეატრი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც აქტიურად ჩაება ახალი, საბჭოთა ცხოვრების შენებაში და თავისი რეალისტური მეთოდი შესანიშნავად გამოიყენა გამარჯვებულ მშრომელი ხალხის იდეების აღსაბეჭდად სცენაზე. თეატრი წარმატებით დაადაგ სოციალისტური რეალობის გახსნა და ბრწყინვალედ ასახა ჩვენი ეპოქის მშენებლობის დიდი სურათები, კომუნიზმის მშენებელთა გმირული სახეები.

ქვეშარტილად რომ საამაყოა მოსკოვის მცირე თეატრის მოღვაწეობა რუსი ხალხისათვის, მაგრამ არა მარტო რუსი ხალხი ამყობს მცირე თეატრის წარსილობითა და მომავალით, იგი საამაყო და სასახელოა საბჭოთა ქვეყნის ყველა ხალხებისათვის, რადგან მცირე თეატრი თავისი იდურ-მხატვრული მისწრაფებებით მუდამ ახლოა მათთან, ტონის მიმკვიპია.

მოსკოვის მცირე თეატრის მისი ცალკეულ მოღვაწეთა

სახით ქართველი მაყურებელი ადრევე კარგად იცნობდა. შჩეკინმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოში 40-იან წლებში პირველი რუსული პროფესიული თეატრის შექმნაში. თბილისიდან მას სსხოვეს პეტერბურგსა და მოსკოვში შეერჩია მსახიობები ახლად გახსნილი თეატრისათვის. მან ეს თხოვნა შესარულა და შერჩეულ მსახიობებს დაეხმარა თბილისში გამოსამგზავრებად.

1857 წელს ცარიზმის მოხელეთა მიერ ლიკვიდირებულ თბილისის რუსული თეატრი საზოგადოებრიობის დაინებითი მოთხოვნის შედეგად მხოლოდ 1866 წელს აღდგა. აღდგენილი თეატრის ხელმძღვანელი იყო ი. ნე-მოვი.

ამრიგად თბილისში არსებულმა რუსულმა თეატრმა პირველი ნაბიჯები მოსკოვის მცირე თეატრის მოღვაწეთა დახმარებით გადადგა. 1867 წელს სუხოვის განმავლობაში თბილისის რუსული თეატრის სცენაზე მოღვაწეობდა მცირე თეატრის ცნობილი მსახიობი ნ. მუხომე, 70-იან წლებში კი ო. პრადინი და ა. ლენსკი. (შემდგომში მცირე თეატრის გამორჩენილი მსახიობები.)


თბილისში 1886 — 1887 წლებში სუხოვში დაიწყო მცირე თეატრის შესანიშნავი მსახიობის ალექსანდრა იაბლოჩინას სასცენო კარიერა. ვლადიმერ ნემოლოვიჩ-დანჩენკოსა და ვასო აბაშიძესთან ერთად თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა სუბმათაშვილი-იუენი, შემდგომ — მსახიობი და ხელმძღვანელი. მათთან ერთად დიდგა მან თავისი პირველი წარმოდგენა 1874 წელს ჩუღურეთში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სუბმათაშვილი-იუენი ერთხანს თბილისის რუსულ სცენაზე მოღვაწეობდა.

80-იან და 90-იან წლებში მოსკოვის მცირე თეატრი უკვე სამართლიანად ატარებდა საუკეთესო რუსული თეატრის სახელს.

მცირე თეატრი შედგებოდა მჭიდროდ შეკავშირებულ კოლექტივისაგან, რომელშიც არა მარტო შესანიშნავად დაიცვა კრიტიკული რეალიზმის ბრწყინვალე ტრადიციები, არამედ ახალი შინაარსით, მოწინავე იდეებით გაამდიდრა იგი. ამიტომ იყო, რომ თეატრი მოწინავე საზოგადოებაში იდლი პოპულარობით და რევოლუციურ-დემოკრატიული წრეების მხარდაჭერით სარგებლობდა. ამიტომაც იქცა იგი ხალხის უსაყვარლეს თეატრად. მცირე თეატრის განსაკუთრებით ახალგაზრდობა ეტანებოდა, რომელიც აცხადებდა, რომ — «სოციალში, როგორც სამსახურში დაეფიჯათ, ხოლო ესწავლობთ — მოსკოვის მცირე თეატრში».

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდანვე მოსკოვის მცირე თეატრი ცდილობს გააფართოვოს თავისი მოღვაწეობის არე და 1883 წლის გაზაფხულზე პირველად მიიღო გასტროლებზე, მოემგზავრება საქართველოში. მცირე თეატრის მსახიობთა ამხანაგობის რწმუნებულენა იყვნენ: სუბმათაშვილი-იუენი და რიბაკოვი, დასწრე შეიღვიდნენ: გ. ფელეტოვა, ე. ტალიანოვა, მ. პრავედინა, ვ. მაქსევი, ო. პრადინი, ნ. ვილედ და სხვები.

საგასტროლო რეპერტუარში ჰქონდათ: დ. აფერკიე-



քն պլանի շնորհիւ, ունեցեալքն անց-  
յալուսն կարգապէս Գ. Վիսարի Մելանիս ընդ  
ԳՅՄԸ տղան նմազանսն, շատապէս լծալ  
զմարտ արան նմազանսն, զորոնք քն  
մեծապէս նպաստեցին Բնական Պարտ  
նմազանքնսն արժանաբար հարկ գնալովորոնք Բն-  
նական կողմ քն գաղտնալ, Բնականիս խնդրել  
ստիճակն ունեցեալքն ներքին, ունեցեալքն օրհնե-  
լով, իրենցն այս նմազան շնորհալ սպաս  
նպատակն, Բնականի խնդրեցեալքն, ներառել  
տղան քն հարկաւորեցին նմազանսն, ներառել  
նմազանսն զայս օրհնել ունեցեալքն նմազանսն,  
հարկ գնալով, քն Բնականիս շնորհալ սպաս  
նմազանսն օրհնել կարգապէս քն ներառելով  
նմազանսն:

1885 թու թան անունն կարգապէս  
նմազանսն կարգապէս Բնականիս քն Գ. Մար-  
տիրոս քն նմազանսն, նմազանսն քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

1887 թու անունն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

1888 թու անունն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

1891 թու անունն Բնականիս քն Բնականիս քն

Բնականիս քն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

1900 թու անունն Գ. Մարտիրոս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

1903 թու անունն Գ. Մարտիրոս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

1916 թու անունն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

Բնականիս քն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն



Բնականիս քն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

Բնականիս քն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

Բնականիս քն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

Բնականիս քն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

Բնականիս քն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

Բնականիս քն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

Բնականիս քն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն



Բնականիս քն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն

Յարկ գնալով, քն Բնականիս քն Բնականիս քն  
նմազանսն կարգապէս կարգապէս քն Բնականիս քն



აქიში — ივორ ილინსკი  
(სწევლიადის სამეფოში)

მიტრიჩი — მიხეილ ვაროვი (სწევლიადის სამეფოში)



და მტკიცედ იცავდა თავის ნაცად შემოქმედებით  
ხაზს — რეალიზმს.

რეპერტუარი დიდი სიფრთხილით დაკრძალული  
შერჩეული იმ მოსაზრებით, რომ ეფექტური სამსახური  
გაეწეა გამარჯვებული მშრომელი ხალხისათვის. მთავარი  
ყურადღება ეთმობოდა დიდი რუსი მწერლების:  
ა. გრიბოედოვის, ნ. ვოგოლის, ა. ოსტროვსკის, ი. ტურ-  
გენივის, ლ. ტოლსტოის, ა. სუხოვო-კობილინის ნაწარ-  
მოებს. თეატრმა დადგა მაქსიმ გორკის პიესა — „ბერ-  
კაცი“ (რეჟისორად მცირე თეატრის აკრძალული  
ქონდა მაქსიმ გორკის ნაწარმოებების დადგმა).

თეატრის ხელმძღვანელი ა. სუმბათაშვილი-იუენინი  
მსახიობთაგან ახალი საბჭოთა მსაყურებლის მიმართ  
უდიდესი პასუხისმგებლობის მოითხოვდა, იგი წერდა, რომ:  
„ახლა, როდესაც ახალი მსაყურებელი მთლიანად ახლა-  
გაზრდაა — სულ ერთია: არის თუ არა ის ორმოცდაათი  
წლის მუშა, ან ხანშიშესული სიფლელი ქალი, თეატრი  
მოვალეა ოთხჯერ მეტად ამაღლოს თავისი კულტურა.  
უდიდესი დანაშაული იქნება ხელოვნების, წმინდათა-  
წმინდის წინაშე, რომ ამ გულდანდობილ და გულგა-  
დაძვინებულ მიწოდოს მეორე და მესამე ხარისხის ხე-  
ლოვნება, მაკულატურა“.

შესანიშნავ რუსულ რეალისტურ ტრადიციებზე დამ-  
ყარებული დიდი მხატვრული ოსტატობა უჩვენა მოსკო-  
ვის მცირე თეატრმა მსაყურებელს პირველსავე თანამედ-  
როვე საბჭოთა პიესებში. ეს იყო ა. ლენინარსკის,  
ა. გლეზოვის, ვ. ბილ-ბელოცერკოვსკის ნაწარმოებები,  
და ბოლოს ტრენევის — აღიებული იაროვიაა“.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ პირველი, მხატვრუ-  
ლად დამაჯერებელი, საბჭოთა სინამდვილის აშახველი  
სექტაყლების ჩვენება რუსულ სცენაზე მცირე თეატრის  
ეკუთენის. ეს განაპირობა მისმა აქტიურმა მოღვაწეობამ  
საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებ-  
ში, მისმა იდეურმა წვრთნამ, რუსული სცენური რეა-  
ლიზმისა და დემოკრატიული ტენდენციების თანმიმდევ-  
რულმა დაცვამ...

1918 — 1920 წლებში ქართველი მენშევიკების გამ-



ცემლური პოლიტიკის შედეგად საქართველო ჩამოშორებული იყო რუსეთში წარმოებულ გრანდიოზულ ბრძოლას. მაგრამ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე აღდგა შემოქმედებითი კავშირი რუსულ თეატრთან. პირველი, ვისაც დაუკავშირდნენ ქართული თეატრის მოღვაწენი — ეს იყო მოსკოვის მცირე თეატრი, სუმბათაშვილი-იუცინი.

1921 წელს განათლების სახალხო კომისარიატის სა-თეატრო განყოფილებაზე ხელმძღვანელმა შალვა დღინმა წერილობითი თხოვნით მიმართა სუმბათაშვილს, რომ ჩამოსულიყო საქართველოში და დახმარებოდა ქართულ თეატრს. პასუხი არ დაეცინა. ა. სუმბათაშვილმა მოიწერა, რომ მცირე თეატრის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარების შემდეგ ჩამოვა თბილისში. ამასთან ერთად მიუღო რიგ დარიცხვებს იძულოდა. მაგრამ მის ჩამოსვლამდე, 1922 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩამოვიდა კოტე მარჯანიშვილი, რომელმაც ქართული საბჭოთა თეატრის პირველი გამარჯვების ფურცელი გადაშალა. სუმბათაშვილი-იუცინი თბილისში სწორედ „ცხვრის წყაროს“ პრემიერის დღეს ჩამოვიდა.

1923 წლის 3 იანვარს დიდი ზემოთ გადაუხადეს თბილისში მას 45 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე. ეს იყო ქართველი ხალხის გულწრფელი მადლობის შედეგი. სუმბათაშვილმა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე მარჯანიშვილის მიერ დადგმულ ანტონოვის კომედიაში „შხის დაბნელება საქართველოში“, რომელშიც რუსი მოხელის როლი შესარტლავა.

ასე განახლდა მოსკოვის მცირე თეატრის კავშირი ქართულ თეატრთან. ამ კავშირის ბრწყინვალე დადსატრება იყო მცირე თეატრის ძირითადი შემადგენლობის გასტროლები თბილისში 1928 წლის მაისის თვეში. სიგასტროლო დასში იყვნენ მსახიობები: ა. იაბლოჩკინა, ვ. რიკოვა, ე. ტურჩანინოვა, ე. გოგოლევა, მ. პერესლენი, პ. სალოვსკი, ნ. რიკოვი, ს. აიფაროვი, ს. გოლოვინი, მ. კლიმოვი, ნ. მუხლილი, ს. კუზნეცოვი, ვ. აკსიონოვი, ნ. შამინი და სხვები.

მცირე თეატრის დასის რიგებში უკვე აღარ იყო ლენსკი, სუმბათაშვილი-იუცინი, პრავდინი, რიბაკოვი, მაგრამ რეალისტურ ტრადიციებზე აღზრდილი ახალი თაობა არა ნაკლები შემოქმედებითი უნარიანობით ამართლებდა თეატრის სახეულს.

თბილისის პრესა მათ მაღალმხატვრულ დონეზე დაბარაკობდა: „მცირე თეატრის წარმოდგენები — სკოლაა ამ სიტყვის მაღალი მნიშვნელობით, აქტიორული ოსტატობის აკადემიაა, რომელიც გამოიწრთო რუსული თეატრის საუკეთესო წარმომადგენლების ოსტატობაზე“ — წერდა გაზეთი „ზარია ვოსტოკა“.

ამის შემდეგ მოსკოვის მცირე თეატრი აღარ ჩამოსულა თბილისში, მაგრამ კავშირი მასთან არ გაწყვეტილა. 1933 წელს კოტე მარჯანიშვილმა მცირე თეატრში „დონ-კარლოსი“ მოამზადა. ოქტაბრის წლებში მოსკოვის მცირე თეატრის დირექტორი იყო ცნობილი ქართველი ხელოვნებათმცოდნე სერგო ამალობაძე. სიყვარუ-

ლის, მეგობრობის შედეგი იყო ის, რომ 1949 წელს ქართველოში დიდი ზემოთ აღინიშნა მოსკოვის მცირე თეატრის დაარსებდან 125 წლისთავი.

1961 წელს გრიბოედოვის სახელობის თეატრის რამდენიმე წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო მცირე თეატრის გამოჩენილმა მსახიობმა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ე. გოგოლევა, — ითამაშა გლორია — „აფროდიტეს კუნძულში“.

წელს თბილისის მყურებელმა კვლავ იხილა მოსკოვის მცირე თეატრი, წელთა სიმრავლით დამიმეხებული, ხოლო შემოქმედებითი პოტენციით მარად ახალგაზრდა. იხილა თეატრის მსახიობთა ნიჭიერი უფროსი, საშუალო, ახალი თაობა, რომელნიც აგრძელებენ სახელოვან თანამოსკენეთა დიდ სცენურ ცხოვრებას.

ქართველი მყურებელი დიდი სიხარულით შეხვდა მოსკოვის მცირე თეატრის გასტროლებს თბილისში.



ნიკიტა — ვ. დორიანის (სწავლადის სახელოში)

# ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი

## ტ რ ა დ ი ც ი ე ბ ი ს

### თ ე ა ტ რ ი



გლფორა ალქაიენა — ტ. როკა, ევლემია ნიკოლაევა — ი. ლიკო  
(„მგლები და ცხვრები“).

ვეკლ ნაუშოინი — ს. შარკოშვი, შეროპია დავიდიანა — ბ. გოგოლაძე  
(„მგლები და ცხვრები“).



მსოფლიოში ამჟამად ორი ან სამი თეატრი თუ იქნება ისეთი, რომელსაც ეგზომ საბელგვანი ტრადიცია ქონდეს და გამომხატავდეს ერის სულიერი ცხოვრების ყველაზე არსებით მხარეებს. ამ თეატრებს შორის ერთი პირველი ადგილი მოსკოვის მცირე თეატრს უჭირავს.

იგი რუსული პროგრესული აზროვნების, დემოკრატიული იდეების, თავისუფლებისმოყვარე სულისკვეთების გამომხატველი იყო, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ მან პირველმა დადგა საბჭოთა კლასიკური დრამატურგიის ნიმუში — ტურნოვის „ლუმოვ იაროვია“.

მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში მცირე თეატრი რუსეთის იმპერიაში დიოტმის ერთადერთი იყო, რომელიც რუსი ხალხის სულსა და რუსული ინტელიგენციის საინტელექტუალური მუსიკა და მუზიკალური იყო. მან ისეთივე როლი ითამაშა ეროვნული თვითშეგნების გაღვივებასა და ჩამოყალიბებაში როგორც ანდრე რუბინოვის მხატვრობამ, პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიამ, ტოლსტოისა და დოსტოევსკის პროზამ, ჩაიკოვსკისა და მუსორგსკის მუსიკამ. ისტორიული ქართველებისა და სხვადასხვა პოლიტიკური რევოლუციების პერიოდში მცირე თეატრი მტკიცედ იდგა პროგრესისა და დემოკრატიის სადარჯოვზე.

ა. სტანისლავსკი ამბობდა — ეს თეატრი ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური ზრდის მამოძრავებელი იყო. მან ასწავლა მოთელს თაობებს მშვენიერების ხილვა ცხოვრებაში, — ამ თაობის დავაჯკაცების ხანაში იგი ბრძნულად პასუხობდა საზოგადოებრივ, სულიერ და გონებრივ კითხვებს.

მცირე თეატრში ახლაც მივითითებენ იმ ადგილებზე სადაც იჯდა მრისხანე გენიოსი — ლ. ტოლსტოი; მშვიდი — ი. ტურგენევი, გიჩენებენ იმ ლოკას, სადაც მოწყვენილი, დაფიქრებული გენიოსი თოდორ დოსტოევსკი განმარტებულიყო (მოპირდაპირე ლოკაში დრამატურგ ა. ოსტროვსკის მუღმივი ადგილი გახლდათ), ხოლო ამფითეატრში მოუსვენრად ტოკადა ნიკოლოზ გოგოლი; ბესარიონ ბელინსკის გვუთენის მგზნებარე სტრეიტონები მცირე თეატრის შემოქმედებისა და მისი გენიალური მსახიობის პავლე მოჩალოვის ტრაგიკული ხელოვნების შესახებ. რუსეთის საუკეთესო შვილების სულიერი კავშირი მცირე თეატრთან ყოველთვის მტკიცე და განუწყვეტელი იყო. სიმბოლურია სწორედ ის გარემოება, რომ ამ თეატრს — მისი შესანიშნავი დრამატურგის, რუსეთის ყოფაცხოვრების სწორპოვარი აღმწერლის პატრისაყვამად „ოსტროვსკის სახლი“ უწოდეს.



მ. გორგი წერდა: „ძნელია კონკრეტულად გაუმოთხო, გავთვალისწინიო და წარმოვიდგინო ის ღრმა სულიერი ზემოქმედება, რომელსაც ახდენდა და ახდენს მცირე თეატრი. მისკოვის უნივერსიტეტთან ერთად მას ეკუთვნის დიდად თვალსაჩინო როლი რუსული საზოგადოების გონებრივი განვითარების ისტორიაში. მცირე თეატრის მიმავალი ისტორიკოსი — ეჭვის გარეშეა — დაადასტურებს, რომ ეს როლი მან უნაკლოდ შეასრულა“.

ქართულ თეატრს, ქართული კულტურის მოღვაწეებს, მისკოვში მცხოვრებ ქართველებს ცხოველი ურთიერთობა ჰქონდათ ამ თეატრთან, პატივს სცემდნენ მის შემოქმედებას, მაგალითად იხილდნენ მის საუკეთესო მიღწევებს.

მისკოვის მცირე თეატრისა და ქართული თეატრალური ხელოვნების მტკიცე შემოქმედებითი მეგობრობის დამაბასტურებელი იყო კოტე მარჯანიშვილის უკანასკნელი სპექტაკლი — მილერის „ღონ კარლოსი“ — დადგმული ამ თეატრის სცენაზე.

აღსანიშნავია, რომ მცირე თეატრის ხელმძღვანელობამ, მისმა რეჟისორებმა და მსახიობებმა ტემშარიტად გულითადი მასპინძლობა გაუწიეს რუსთაველის თეატრს და მის ხელმძღვანელს სანდრო აბმეტელს პირველ საკავშირო თეატრალურ ოლიმპიადაზე 1930 წელს. მათ პირველად დასთმეს თავიანთი დარბაზი, სცენა და საპირფარეო ოთახები ფორუმზე ჩამოსული ქართული დასისათვის. ხოლო ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების მომდევნო დეკადებზე და ცალკე გასტროლებზე მარჯანიშვილელთა მიერ წარმოთქმული ქართული სიტყვა გაისმა მცირე თეატრის სცენიდან.

ქართველი ხალხი მუდამ პატივისცემით მოიგონებს მ. ერმოლოვას, რომელმაც დიდი ტრაგიკული ძალით გამოსახა ქართველი დედის — ზეინაბის ღრმა სულიერი ტანჯვა ა. სუმბათაშვილ-იუეინის პიესაში „ღალატის“, ხოლო თვით სუმბათაშვილის ღვაწლი ქართველი და რუსი თეატრალების დამეგობრებაში, მცირე თეატრის განვითარებაში, ქართული ხელოვნების პრესტიჟის ამაღლებაში ხომ პირდაპირ დაუფასებელია, იგი მრავალი წლის მანძილზე იყო მცირე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი.

ამ დიდი შემოქმედების მიერ გაცვაულ რეალისტურ გზას მიჰყვებოდა და მიჰყვება მცირე თეატრი. მართალია, როგორც შორეულ წარსულში, ისე უახლოეს ხანშიც, თეატრს ჰქონია შემოქმედებითი დამაბუნების, წარუმატებლობის პერიოდები, მაგრამ მას არასოდეს არ უღალატებია რეალიზმისათვის, არ გაუკვლია იგი სხვადასხვა „იზმებზე“. ამ თანმიმდევრობაში, ამ „კონსერვატიზმში“ უფრო სწორად, ტრადიციებისადმი მის ხაზგასმულ ერთგულებაშია თეატრის ძალა და შემდგომი განვითარების ნიშანსაცხი.

აი, ეს სახელოვანი თეატრი ეწვია სწორედ თბილისს. როგორც კი ჩვენმა სტუმრებმა ფეხი დაადგეს საქართველოს მიწას, ისინი უმალ ეურადღებისა და სიყვარულით ნაკარნახები გულწრფელობის ატმოსფეროში მოექცნენ. თბილისის სადგურზე გაიმართა იმპროვიზაციული, ხალხმრავალი მიტინგი, სტუმრებს მიესალმნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თ. ბუაჩიძე და საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დ. ანთაძე. საპასუხო სიტყვები

ოსკარი — ე. მტკევე-ვი (მოჩვენებანი)

ქრისტინე ლი-ტინი (მოჩვენებანი)



ფრე ალივინი — ე. გოგოლივა, პასტორი — ე. მარლახოვი („მოჩვენებანი“)





საქართველოს

წიგნების კავშირი

მარია შარტინოვა — ე. ზისტატიანი,  
ექიმი — ვ. კელცივა („მთავარი როლი“).



წარმოსთქვეს თეატრის დირექტორმა ე. სვევინმა, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტებმა ე. გოგოლევა და მ. ჟა-როვმა.

ჩვენს პერიოდულ პრესაში, რესპუბლიკის ცენტრალურ გა-ზეთებში — „კომუნისტსა“ და „ზარია ვოსტოკაში“ სისტემა-ტურად იბეჭდებოდა ჩვენი ცნობილი რეჟისორების, მსახიო-ბების, თეატრმცოდნეების წერილები და მისალმებანი, სპექ-ტაკლების ფოტოსურათები, ლიტერატურული პორტრეტები ცალკეულ მსახიობებზე.

დამირტი ტროფიმოვა — ე. მტკვევა („მთავარი როლი“)  
თამარა ვაერლიოვა — ვ. ზაქუნი.



ქართველი მყურებლის განწყობილება მშვენივრად გამო-ხატა ვერიკო ანჯაფარაძემ: „თავს ბედნიერად ვთვლი ჭაღარა თბილისის მიწაზე მივესალმო ძვირფას სტუმრებს — მოსკო-ვის მცირე აკადემიური თეატრის ბრწყინვალე კოლექტის. მცირე თეატრი საბჭოთა სოციალისტური კულტურის დიდება და სიამაყვა. თქვენი სტუმრობა და გასტროლები, ძვირფასო მეგობრებო, დიდი ამაღლებული მოვლენაა ჩვენი დედაქა-ლაქის კულტურულ ცხოვრებაში.“

თავის მდიდარ მუზეუმში, რომელსაც მრავალწლიანი ის-ტორია აქვს და რომელიც სასევა მრავალი სამადლობელი მი-სალმებით, თეატრს შეუძლია შეიტანოს კეთილი სურვილები და გულთიადი სიტყვები ქართველი ხალხისა, რომელიც სიყვა-რულით ეპყრობა და აფასებს რუსულ თეატრალურ ხელოვ-ნებას“.

თავის მხრივ თეატრის ცნობილი მსახიობები მიხილ გა-როვი, მიხილ ცარიოვი, ელენე გოგოლევა, თეატრის მთავა-რი რეჟისორი ვვენი სიმონოვი აღნიშნავენ ქართული თე-ატრის მაღალ კულტურულ დონეს, მის რომანტიზმს, ტრაგი-კულის გამოსახვის დიდ ძალას და განსაკუთრებულ ადგილს საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებაში. აი, რას წერდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მ. ცარიოვი: „ახლა, როდესაც ჩვენ გამოსვლებს ვიწვევთ მზიურ მხარეში, ჩვენთვის განსა-კუთრებით ძვირფასია იმის გახსენება, რომ საქართველომ მცირე თეატრს არუა გამოჩენილი მსახიობები — ა. ლენსკი და ა. სუმბათაშვილი-იუცინი. ჩვენთვის ძვირფასია იმის მო-გონებაც — ფაშოშვიან ბრძოლის მრისხანე დღეებში თუ რო-გორის გულითადაობით და მასპინძლობით მიიღო ქართველმა ხალხმა მცირე თეატრის მსახიობები ვ. მასალიტინოვი, ვ. რი-თოვი, ვ. კლიმოვი. და განა რუსული და ქართული თეატრე-ბის ღრმა შემოქმედებითი სიახლოვის დადასტურება არ იყო



დიდი რეჟისორის კ. მარჯანიშვილის მუშაობა მცირე თეატრის კოლექტივთან?

მოსკოვი, მცირე თეატრი მრავალჯერს ყოფილა მოწვეულ რუსთაველის თეატრისა და მისი მსახიობების — ა. ხორავას და ა. ვასაძის უზარმაზარი წარმატებებისა, რომლებსაც ტაშს უკრავდა თეატრალური საზოგადოებრიობა, მშრომლები და დედაქალაქის მრავალი სტუდენტი. ჯერ კიდევ ცინცხალია ის შთაბეჭდილებები, რაც ჩვენსეულ სულ ამ რამდენიმე წლის წინ მოახდინა რეჟისორ დ. ალექსიძის მიერ ბრწყინვალედ დადგმულმა „ოიდიპოს მეფემ“. ჩვენ აღვავაფრთოვანა მსახიობების ა. ხორავას, ს. ზაჭარაძის, ე. მანგალაძის შთაგონებულმა თამაშმა. მე მახსოვს ის წარმატებაც, რაც წილად ხვდა მოსკოვში, მცირე თეატრის სცენაზე მეორე ქართულ თეატრს — კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრს — ჩვენი დროის სახელმძღვანელო მსახიობის ე. ანჯაფარიძის წინამძღოლობით.

საქართველო ეს არის ქვეყანა, რომელსაც ბრწყინვალე თეატრალური სკოლა და მდიდარი ტრადიციები აქვს. ეს არის პოეზიის, სიმღერის, ცეკვის ქვეყანა. ხელოვნება ქართველი ხალხის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია დღესაც. პასუხისმგებლობის დიდი ვრწოებით მოვიდა მცირე თეატრი ამ ვასტროლებს. მცირე თეატრის თბილისში ჩამოსვლა მიგვაჩინა სერიოზულ მისიად და ვიმედოვნებთ, თბილისელებთან გაცნობა ორმხრივ სასარგებლო იქნება. ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია შევამოწმოთ ჩვენი მიღწევანი, ჩვენი მივბანი ყველაზე ფართო, მრავალრიცხოვანი აუდიტორიის პირისპირა.

ასევე გულწრფელი სტრიქონები უძღვნა ქართველ ხალხს და მის თეატრალურ ხელოვნებას საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ე. გოგოლეკმა (რომელსაც საქართველოს მთავრობამ დიდი პატივი მიაგო — მიანიჭა მას საქართველოს სახალხო არტისტის წოდება); ხშირად ამბობენ: ესა და ეს ქვეყანა ან ქალაქი ჩემი მეორე სამშობლოა. ასეთ შემთხვევაში იმ მდგომარეობას უნდათ ხაზი გაუყვან, რომ გარკვეულმა

წლებმა, რომელიც ამ პიროვნებამ დასახლებულ ქვეყანაში გაატარა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის პირად განვითარებაში.

„მე რუსეთში დავიბადე და გავიზარდე. საქართველოში არასოდეს მიცხოვრია. მაგრამ უნდა გითხრათ, რომ საქართველოს ჩემს მეორე სამშობლოდ ვთვლი. და აი რატომ: ხელოვნება, კერძოდ თეატრალური ხელოვნება, ჩემი სიცოცხლეა. მე მეორედ მაშინ დავიბადე, როცა დიდ ხელოვნებაში მოკრძალებით შევედი ფეხი. ამ ხელოვნებას კი ალექსანდრე სემბათიაშვილი-იუვენია და კოტე მარჯანიშვილმა მასწავრეს. ისინი იყვნენ სცენაზე ჩემი პირველი მასწავლებლები, ხელმძღვანელები და მეგობრებიც. აი რატომ ვამბობ, რომ საქართველო ჩემი მეორე სამშობლოა.“

ამ მღვალავე, მეგობრულ ატმოსფეროში დაიწყო 20 ივნისის მცირე თეატრის გასტროლები ერთდროულად ორ სცენაზე — რუსთაველის თეატრში და ფილარმონიის სასაფხულო დარბაზში.

მცირე თეატრის სავასტროლო რეპერტუარი მოფიქრებულად და გამიზნულად იყო შერჩეული. რუსული კლასიკა — ა. ოსტროვსკის „მგლები და ცხვრები“, ლ. ტოლსტოისა — „მეუფემა წყვილიადასა“, უცხოეთის კლასიკა — ა. იბსენის „მორჩენიანნი“ და თ. უილდის „ლუდი უონდერმეიერის მარაო“, თანამედროვე დრამატურგია — გიორგი მდივნის „მოაბარეს კონსული“, ს. ალიოშინის „მთავარი როლი“, ჯონ სტიენბეკის „მთავარე ჩავიდა“, ე. რანეტის „ბრაკონიერები“.

რეპერტუარი ძველსა და თანამედროვე პიესებს შორის „წონასწორობის“ დამყარების მიზნით როდია შედგენილი. აქ თუმცა აშკარაა თანამედროვე დრამატურგიის უპირატესი როლი, მაგრამ კლასიკური დრამატურგია ღირსეული ნიმუშებით და მათზე შექმნილი საუკეთესო სპექტაკლებითაა წარმოდგენილი.

რეპერტუარი მრავალმხრივ იპყრობს ყურადღებას. პირვე-

მეფა — რ. ნილონტოვა, აადამს — ბ. ტულევინი („ბრაკონიერები“)

976 4



საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



ლი, რაც ერთობ მნიშვნელოვანია, გახლავთ შემდეგი. ამ უძველეს თეატრს, როგორც სწავს, განზრახული ჰქონდა ეჩვენებინა არა მარტო ერთგულება ა. ოსტროვსკისა და ლ. ტოლსტოის დრამატურების მიმართ, არამედ თავისი ტრადიციული სახეც, რაც სწორედ ამ დრამატურგთა პიესებზე (აქ უნდა დავუმატოთ მ. გორკოვი) მუშაობით გამოიკვეთა. ა. ოსტროვსკის დრამატურების მიმართ, არამედ თავისი ტრადიციული სახეც, რაც სწორედ ამ დრამატურგთა პიესებზე (აქ უნდა დავუმატოთ მ. გორკოვი) მუშაობით გამოიკვეთა. ა. ოსტროვსკის დრამატურების მიმართ, არამედ თავისი ტრადიციული სახეც, რაც სწორედ ამ დრამატურგთა პიესებზე (აქ უნდა დავუმატოთ მ. გორკოვი) მუშაობით გამოიკვეთა. ა. ოსტროვსკის დრამატურების მიმართ, არამედ თავისი ტრადიციული სახეც, რაც სწორედ ამ დრამატურგთა პიესებზე (აქ უნდა დავუმატოთ მ. გორკოვი) მუშაობით გამოიკვეთა.

მცირე თეატრი უპირველესად მსახიობის ხელოვნების თეატრია. აქ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება მსახიობის შემოქმედების, სწავლად წარმოთქმული სიტყვის ხელშეწყობას, განსახიობების რეალიზმს. ამ საავსტროლო რეპერტუარის მთლიან ღირსება ის იყო, რომ აქ სრულიად გამოვიდინა და მცირე თეატრის ძველი, სახელმწიფოელო ოსტატების ხელოვნება და ახალი თაობის მსახიობების ნიჭიერება. რეპერტუარი იძლეოდა ამის საშუალებას. ჩვენ ვიხილეთ ძველი ოსტატები ი. ილინსკი — აკიმი, მ. ეაოვი — მიტრინი („მეუფება წყვდიადისა“), მ. ქაროვი — ოურდენი და დ. ზურგალოვა ქ-ნი ოურდენი (კ. სტინბეგის „მთარე ჩაივი“), ე. გოგოლევა — ფრუ ალიონი (იხსენის „მოჩვენებანი“), — მურხავეცკია („მგლები და ცხვრები“), საშუალო თაობიდან გ. როვი — გლაფირა („მგლები და ცხვრები“), ვ. დრონიჩი — ნიკიტა („მეუფება წყვდიადისა“), ე. ბისტრიცკაია —

მარია („მთავარი როლი“); ახალგაზრდებიდან რ. ნიფონტოვა — მელა (რანეტის „ბრაკონიერები“), ი. სეროჟინი — მეწაღე ჰეპინო, ვ. ბარცკოვი — ჩინო, ა. ვედერკინოვა — ლალი (გ. მდვიანის „მოიპარეს კონსული“).

მცირე თეატრმა რუსთაველის თეატრის სცენაზე პირველ სპექტაკლად ფორმადგინა ლ. ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა“, ხოლო წარამოინის სახანსხლო დარბაზში — ი. იხსენის „მოჩვენებანი“.

... რუსთაველის თეატრის პროსცენიუმზე, ფარდის წინ გამოედგნენ მცირე თეატრის მსახიობები და რეჟისორები, ჩვენი თეატრების მოღვაწენი და მსახიობები. საკუთარველს თეატრალების, ქარველი მაყურებლის სახელით მზუნებარე მისასამბელო სიტყვა წარმოსთქვა აკაი ხორავამ. სამადლოზელ სიტყვით და საპასუხო მისაღმებით გამოვიდა თეატრის ხელმძღვანელი ე. სიმონოვი. იგივე საზეიმო სურათი განმეორდა ფილარმონის სახანსხლო დარბაზში. აქ მოსკოველი კოლეგების სიტყვით მიმართა ვასო გომიშვილმა, ხოლო სპასუხო სიტყვა წარმოსთქვა თეატრის მსახიობმა ვ. იურჩენკომ.

ორივე ამ სპექტაკლამ ძლიერი მხატვრული შემოქმედება მოახდინა ჭარბიველ მაყურებელზე და ნამდვილი ესთეტიკური სიამოვნება მიანიჭა მას.

უშუველია, თეატრის საუკეთესო და უძლიერეს სპექტაკლად კვლავ რჩება ლ. ტოლსტოის „მეუფება წყვდიადისა“. თეატრმა შესანიშნავად იგრძნო ლ. ტოლსტოის ამ პიესის ტრაგიკული ძალა, მისი მამხილებელი პათოსი. მან გვიჩვენა თუნდა რა სინებელი იყო განუფილი ძველ რუსეთში, როგორ იბრძოდნენ ადამიანები ამ წყვედიადიან თავდასხმისათვის და ინსტიტუტად, ძალუდა მიიწვედნენ სინათლისაკენ. ი. ილინსკის — აკიმი — სპექტაკლის ყველაზე საუკეთესო მხატვრული სახე, ჩინებულად გვიჩვენებს ყოფილიმომცემელი სიკეთის ძალას. მსახიობი დიდი ადამიანური სიმთიბით, ბრძნული წინასწარჭერტით ხატავს ამ სახეს, რომელიც თითქოსდა არის განსახიერება ბუნების საუკეთესო ძალთა სინათლისა და კეთილშობილებისა. ეს არის სიკეთე, რომელიც ძვეს ინსტიტუტებისა და ინტუიციის სფეროში. იგი არ არის წინასწარ მოფიქრებული, გონებისმიერი მისწრაფება, იგი იბადება უშუალოდ და ძალდატანებულად. სინებლის, ვერაგობის საწინიელი სამყარო ისევე ძლიერად არის დახატული, როგორც სწრაფვა ნათელისაკენ და მათს ბრძოლაში იკვანძება დიდი ადამიანური ტრაგედია.

ასევევე ნათელი აზრი მსჭვალავს კ. იხსენის „მოჩვენებანსაც“. თეატრმა ეს პიესა სახეებით გაათავისუფლა „ბიოლოგიზმისა“ და ფრილიზმის ელემენტებისაგან. მძაფრკონფლიქტი წარუღებელი ცოდვებისა და ახლანდელ მაღალ ზნეობის შორის, ვადულსახვი წინააღმდეგობა, ფიზიკურ პროსტრაციასა და შინაგან განაწლებას შორის, დაძაბულად, მძაფრ ფერებით გადმოსცეს ე. გოგოლევამ და მატყვევმა.

მცირე თეატრის ღირსება იმაშია, რომ მისი სპექტაკლები — დამოუკიდებლად მხატვრული ღირსია — მაყურებელს არასოდეს გულგრილად არ სტყვებენ. თეატრს აქვს თავისი იდეალი. იბრძვის მის დასამკვიდრებლად, უარყოფს ძველსა და დრომოქმულს. ჩვენ აქ თეატრალურ ფორმებზე ვი არ ვლამპარაკობთ (აქ შეიძლება სხვადასხვა აზრი არსებობდეს),



ნაბიჯი წინ წაადგა, კიბის საფეხურები ჩამოიარბინა და იატაკ-  
ზე დაეშოხ მოწყვეტით, პირქვე, უსულოდ... გარეთ კი ბრძო-  
ლა გრძელდებოდა. ისროდნენ, დაუსრულებლივ ისროდნენ.  
სიკოლკამ შუკი გამოითიშა. ვესტიბული სიბნელეში ჩაიძირა.  
სადაღანდა შემოსპარული ერთადერთი სინათლის სხივი მხო-  
ლოდ ალექსი ტურბინს ანათებდა.

რეჟისორის მიერ მღელვარედ ამოსხნილი ალექსი ტურ-  
ბინის სიკვდილის ეპიზოდი ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა  
მაყურებელზე. ის მსახიობებთან ერთად განიცდიდა გმირთა  
ცხოვრებას და, შესაძლოა, ვერც ამჩნევდა იმ საშუალებებს,  
რომელთა შეოხებითაც წარმოდგენის ფაქიზ ქსოვილი მხატვ-  
რის წვლილი ექსოვებოდა: ფერთა შეხამებით მიღწეული ჩი-  
ნოვნიკური გიმნაზიის ცივი სიმშრალე, პორტრეტზე წელს  
ზემოთ გადაკვეთილი რუსეთის იმპერატორი, უწყსრიგოდ არეუ-  
ლი მერხები, თეთრად მოელვარე მაღალი კიბე, განათების  
მეტყველი ცვალებადობა... ვერ ამჩნევდა იმიტომ, რომ ეს ყო-  
ველივე თანდათან და შეუმჩნეველად შედიოდა სცენური სი-



ფ. დევალი „ვეღრება ცხოვრებაზე“. II მოქმედება

ციოცხლის დინებაში, დროულად და ორგანულად. ამიტომ ძნე-  
ლია ხოლმე ე. ახვლედიანის მხატვრული გაფორმების სპექ-  
ტაკლის მთლიანობიდან გამოყოფა, განსაცალკევება. თუმცა  
დაკვირვებელი თვალი ადვილად შეამჩნევს, რომ ე. ახვლე-  
დიანს უცდომლად აქვს ხოლმე გააზრებული შთაბეჭდილება,  
რომელიც უნდა მიიღოს მაყურებელმა ყოველ ცალკეულ მოქ-  
მედებაში მომხდარი ამბისაგან. გრძობის თუ როგორ უნდა  
გაიშალოს ეს ამბავი, რომ დეკორაცია მოსახერხებელი იყოს  
მსახიობის გმირის ცხოვრებისათვის, მოლიანად ეპიზოდის  
რეჟისორული მონაზაზისთვის, და თანაც ფერწერულადაც სა-  
ხიური იყოს, მეტყველი, საჭირო განწყობილების შემქმნელი.  
ეს განწყობილება კი ბულგაკოვის პიქის ყველა აქტში სხვა-  
დასხვაგვარია. ლამაზი, მშვიდი, თბილი ტურბინთა სახლი.  
ბრწყინვალეობით მოვლავარე კაბინეტი გეტმანისა, ძვირფასი  
და უცხო ავეჯით სავსე, ისეთივე უცხო, როგორც ამ სასახლის  
ბატონ-პატრონიც იყვნენ თავის სამშობლოსათვის. ჩინოვ-  
ნიკის მუნდირის რუხ ფერებში გადაწყვეტილი გიმნაზია —  
მშრალი, სტანდარტული, უსულოული.

„ვეღრება ცხოვრებაზე“. III მოქმედება







„ვეღერბა ცხოვრებაზე“. IV მოქმედება.

შესამჩნევია ისიც, რომ ე. ახვლედიანს უყვარს ავტორისეული მითითების გაღრმავება — გამასვილება. მ. ბულგაკოვის პიესისთვის განუთვნილ ყოველ ესკიზში ინტერირის გარემო სინამდვილეთან დამაკავშირებელი კარი ან ფანჯარა განსაკუთრებით ხაზგასმულადაა გამოკვეთილი, ვინაღაც ის ავტორს აქვს რემარკაში, ეს იმიტომ, რომ ე. ახვლედიანს სურს, რომ შენობის ციმბირში მიმდინარე ამბები, ესოდენ მნიშვნელოვანი გმირთა ცხოვრებისათვის, უფრო მეტად იყოს თვალსაჩინო, მიაღწიოს მაყურებელამდე — ნაწარმოების იდეას ჭირდება ეს.

შემპირიტად თეატრალური მხატვრის გუნდით იცის ე. ახვლედიანმა პიესის წმინდა ლიტერატურული თავისებურების შეგრძნება და ამოხსნა. მუდამ იცავს ამ თავისებურებას ესკიზშიც და სცენაზეც. დიდად უწევს ანგარიშს ყველაფერს, რასაც ავტორის ტექსტი აუწყებს, რადგან იცის, რომ კარგი ავტორი უაზროდ არასდროს არ გამოჰყავს საჭირო დეტალს. ზოგჯერ მხატვრის მიგნება აღრმავებს და აფართოებს ავტორის ამგვარ მინიშნებას. მ. ბულგაკოვის პიესაში ლარიონიკი ორჯერ ახსენებს ტურბინიას სასტუმრო ოთახის რძისფერ ფარდებს: „რძისფერი ფარდები... ისინი, როგორც მიჯნა სამყაროსგან გვაცალკევებენ“... და „ნავსადგური რძისფერი ფარდებით“. ე. ახვლედიანის სამივე ესკიზს თავზე ან რძისფერი ფარდის მსხვილი ნაოჭი ადგას — მხატვრის თითქმის უნდა გეითხას, რომ რძისფერი ფარდით რეგოლეციის ტალღას მარტო ტურბინიას სახლი არ ემიჯნებოდა, ბევრი სხვაე. მაგრამ ამ ტალღამ ყველა ჯეზირი გაარღვია, ყველაფერ შეიჭრა, რადგან ძალა მისი შემწერებელი არ არსებობდა, ისტორიულად კანონზომიერი იყო იგი, აუცილებელი, გარდავალი. ანგრედად ძველი და ახალი მოქონდა. ამავე აზრის გასაძლიერებლად ავტორის მიერ პიესაში მინიშნული ჩვეულებრივი ფანჯარა მხატვარმა სცენაზე უსაზრმაზარ ფართოშეშინა მალაღ ფანჯრად აქცია — ასეთი ფანჯრიდან უფრო კარგად მოჩანდა გარე სამყარო, უფრო მეტად იგრძნობოდა ის ახალი, რომელიც ადამიანთა ცხოვრებაში იჭრებოდა. ესეც ნაწარმოების დედაზარისთვის იყო საჭირო.

საინტერესოა, რომ ესკიზებზე გამოსახული მოქმედების სამივე ადგილი ერთ დანადგარზე იყო მოთავსებული. ამის

გამო ტექნიკური თვალსაზრისით დეკორაცია ძალიან ადვილად მოსახმარი იყო: ტურბინიას სასტუმრო ოთახის სკენების შენობიდან გეტმანის კაბინეტის კედელს წარმოადგენდა, ის კ. თავის მხრივ, სულ ადვილად იქცეოდა გიმნაზიის გრძელ დერეფნად მესამე მოქმედებაში. ყველა ამ ცვლილებებისათვის სცენურის წრის შემობრუნება კმაროდა. დროის ამგვარ ცვლილებისა შატრები ჩვეულებრივ მცენარე მთავრადვე ხოლმე როდესაც პიესა მრავალსურათიანია და ანტიპათების შედგენილი განხარბილების სამიშრობაა მოსალოდნელი. მულაკაციის პიესაში ეს სამიშრობა არ იყო, მაგრამ ე. ახვლედიანმა მაინც ერთი დანადგარი ირჩია — კოტე მარჯანიშვილის მოწვევით კარგად იცოდა, რომ დეკორაცია უნდა იყოს ძველი, მსუბუქი, ადვილად დასადგმელი სცენაზე და უსათუოდ მოსახერხებელი მსახიობისთვის. რამდენი ბრძოლა გადატანია თეატრის დირექციასა და სახადგმო ნაწილიან იმისთვის, რომ სცენაზე საჭირო ყოველი საგანი მსახიობისთვის ადვილი მოსახმარი ყოფილიყო.

იქსაც ე. ახვლედიანთან თეატრში უმუშავია, კარგად იცის, რომ იგი იმ იმითაა მხატვრებს ეკუთვნის, რომლებიც კოსტუმების საკითხში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ არა მარტო ეპიქსა და სასათის შესატყვისობას, ფერწერულობას და დეკორაციის მოღაბს სურათთან ჰარმონიულ შერწყმას, არამედ შესრულების ხარისხსაც, რომელიც კოსტუმს მსახიობისთვის ადვილად მოსახმარს გახდის. ამ მხრივ მისთვის არავითარი განსხვავება არ არსებობს ე. წ. „საკოსტუმი“ და „არასაკოსტუმი“ პიესებს შორის.

მოქმედ პირთა შემოსვის თვალსაზრისით „ტურბინიას დღეები“ მხატვრისათვის საინტერესოა არ უნდა იყოს — 28 მოქმედ პირთა შორის მცირე გამოხატვისათვის ყველა სამუდგროა. ამის გამო გარკვეულ ერთფეროვნებას თავისთავად ექნებოდა ადგილი. მიუხედავად ამისა, ლ. ვარაზისკვი ამბობს, რომ ეს წარმოდგენა სწორედ უფროსულად იყო მეტად სახიფათო — სამხედრო სამოსელის დეკორაცია იყო მეტად საყაროს სხვა ნათელ ფერებს ეხამებოდა. ე. ახვლედიანი ნათელ ფერებს მხოლოდ მაშინ აქრობდა, როდესაც რუხი ფერის გაბატონება მიმდინარე ამბის განწყობილებას დასჭირდებოდა. სცენური კანათების შესაძლებლად საჭირო წუთში ისტატურად დარჩილად ხოლმე თავის დეკორაციას იმისათვის, რომ გმირთა შინაგანგარბი მიმდინარე რთული ფსიქოლოგიური პროცესისთვის მიეპყრო მაყურებლის ყურადღება. ეს პირველი — ძველი მოთვლემდევლობის მხებრვა და ახლის გამარჯვება იყო მთავარი პიესასა და სპექტაკლში. მხატვარი ამაზე ზრუნავდა. ამიტომ გრძობდნენ თავს კარგად მსახიობები მის დეკორაციაში. ამიტომ იჯერებდა მაყურებელი.

თეატრში ხანგრძლივმა მუშაობამ და დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა ე. ახვლედიანი, რომ სპექტაკლის წარმოდგენის მასში ჩაქსოვილი აზრის სადღეისო საზოგადოებრივი საჭიროება განაპირობებს. უმაღლესი მხატვრული ხარისხით კი ვერ მოუპოვებს სპექტაკლს წარმატებას, თუკი აზრი მისი საჭირო და მამლევებელი არ არის იმათთვის, ვინც ქმნის წარმოდგენას და ვისთვისაც იქმნება იგი. საზოგადოებრივად საჭირო აზრის გამოთქმის სიმწვავე კი მოითხოვს ხელოვანის აქტიურ მოქალაქობივად დამოკიდებულებას იმისადმი, რაც

სცენაზე ხდებოდა. ეს ეხება დრამატული თეატრის ყველა წარმოდგენას. მიუხედავად ამისა, ზოგი ნაწარმოები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ამ მხრივ. ასეთ ნაწარმოებთა რიცხვს განკუთვნიება თანამედროვე ფრანგი დრამატურგის ეკ დევილის პიესა „ველდრება ცხოვრებაზე“.

ე. დევილის პიესა 1933 წ. გამოქვეყნდა თურნალში, რომელსაც ანრი ბარბუსი რედაქტრობდა. აზრის სიღრმის თვალსაზრისით ის განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაწარმოებად იყო აღიარებული. აკი მოახდინა კიდევ აფეთქებული უმბარის მსგავსი შთაბეჭდილება ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე — მეტრისმეტად მამხილებელი იყო მისი არსი.

ამავე, რომლის გარშემოც იშლება გმირთა ცხოვრება, მიმდინარეობს საფრანგეთში ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. პირველი შთაბეჭდილებით პიესა ერთი ბურჟუაზიული ოჯახის ცხოვრების ქრონიკაა. მასუბრთა გვარის თაობათა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ნაჩვენებია ოჯახის წევრთა მიოგრაფიები და მათი ურთიერთობანი. ამ ფონზე კი იშლება ისტორიული ცვლილებები, რომლებიც განიცადა ბურჟუაზიულმა საზოგადოებამ. ავტორი პიესას მასუბრთა ოჯახის იმ თაობის ჩვენებით იწყებს, რომელთა ცხოვრებაც ბურჟუაზიული ფორმაციის დაწყებით ხანას ეკუთვნის. შემდეგ თაობათა მონაცვლეობის ჩვენებით, მათ შთამომავალთა განვითარების რამდენიმე ეტაპს დაგვანახებებს და დაღუპვის სასწერამდე — ფაშისმამდე მიიყვანს. ამგვარად, მასუბრთა გვარის მაგალითზე ე. დევილის მიერ ბურჟუაზიის სოციალური განვითარების სხვადასხვა ეტაპებია ნაჩვენები. ამ განვითარების ნათელ ხაზად ავტორს ბურჟუაზიის მტაცებლური ბუნების ზრდის ჩვენება აქვს არჩეული — საქმოსნებს და ქონების დამგროვებლებს სპეკულანტებისა და ფინანსისტების თაობა სცვლის. ეს თაობა არაფერს აღარ ქმნის, წინაპართა შრომა კი სასაცილოდ შიანია. ე. დევილი თავის პიესით ამბობს: მასუბრთა მოდგმა გადაგვარდა ისევე, როგორც ბურჟუაზიული საზოგადოებრივი წყობა, რომელშიც მათი ცხოვრება მიმდინარეობს.


ქრონოლოგიურად პიესა მოიცავს პერიოდს პარიზის კომუნდანი ვიდრე მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე.



„ველდრება ცხოვრებაზე“. კოსტუმების ესკიზები

- პირველი სურათი — 1872 წ. 27 ივნისი, საღამოს ექვსი საათი.
- მეორე სურათი — 1902 წ. 30 სექტემბერი, დღის თორმეტი საათი.
- მესამე სურათი — 1913 წელი, 15 ნოემბერი, საღამოს შვიდი საათი.
- მეოთხე სურათი — 1914 წ. 15 ნოემბერი, საღამოს ექვსი საათი.
- მეხუთე სურათი — 1924 წ. 5 მაისი, დღის თერთმეტი საათი.
- მეექვსე სურათი — 1933 წ. 28 დეკემბერი, საღამოს ექვსი საათი.
- მეშვიდე სურათი — 1934 წ. 4 იანვარი, საღამოს ექვსი საათი.

„ველდრება ცხოვრებაზე“ კოსტუმების ესკიზები





„ვეღრება ცხოვრებაზე“. კოსტუმების ესკიზები

აი, ასეთი პიესის გასაფორმებლად მიიწვია ლ. ვარპახოვსკიმ ელენე ახვლედიანი 1958 წ. ქ. მოსკოვის მ. ერმოლოვის სახელობის თეატრში.

პიესას პირველი წაითხვისთანავე დაინტერესა მხატვარი. მანვილი სატირული აზრით იყო იგი გამსჭვალული, ამ აზრისადმი ავტორის მღვდლვარე დამოკიდებულება იგრძნობოდა. მოქმედების დრო ხშირად იცვლებოდა, მაშასადამე, ეპოქათა სიზრვილე და მრავალფეროვნება თავისთავად იგულისხმებოდა. გმირთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები კი თვალსაჩინო სახიერებას მოითხოვდნენ. მართალია, მოქმედების ადგილიდან დაკავშირებული ცვლილებები ინტერირში იყო მოქცეული და შენობის ფარგლებს არ სცილდებოდნენ, მაგრამ მხატვრისათვის მაინც საინტერესო იყო, რადგან ყველა ცვლილება ეპოქის შეცვლას აღნიშნავდა, მაშასადამე, გარემოსა და გმირთა სამოსელის შეცვლასაც. ეს ყოველივე ერთი პიესის ფარგლებში იყო მოქცეული, იმ ერთ ლიტერატურულ ხერხში, რომელიც ავტორმა აირჩია, ამიტომ სცენურადაც ყველაფერი ამავე ხერხში უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი. ყველაზე ძნელი მაინც ეს იყო, რომ დროის ყოველ ახალ მონაკვეთში დანვილივც გახსენებოდა იმისთვის, რომ ნაწარმოების დედასთან ჩამოყალიბებულიყო: დრო იცვლება, მიდის, იცვლება ჩაცმულობა, ჩვეულებები, მაგრამ არსი მისი ერთია, უცვლელი, მტაცელური. ამ აზრის გამოკვეთა შეადგენდა რეჟისორის მხრის. მხატვარიც ამ აზრს უნდა მომსახურებოდა თავის შიგნით.

მოქმედების ადგილის ხშირი ცვლა ტექნიკურად მუდამ ართულებს ხოლმე მის სცენურ განხორციელებას. მ. ერმოლოვის სახელობის თეატრის სცენა კი ზომითაც მცირეა და ტექნიკური საშუალებებითაც საკმაოდ ჩამორჩენილი. მით უფრო გასათვალისწინებელი იყო ყოველი წერილმანი, რომელიც ამგვარი სცენის გამოყენების კონკრეტულ შესაძლებლობასთან იყო დაკავშირებული. დღესაც ახსოვთ ახვლედიანსა და ვარპახოვსკის თეთრად გათენებული ღამეები, როდესაც მათ, (ვარპახოვსკისთან ბინაზე) ცარცი თჯერ სცენის ფართობი განსაზღვრის თანაკაზე, შემდეგ კი მუხლებზე დაჩოქილობი გათენებამდე აღნიშნავდნენ ყველა წერილმანს, რომელიც

სცენური სივრცის მომავალი შეცვლისათვის იყო გასათვალისწინებელი.

ე. ახვლედიანის აზრით რეჟისორ ლ. ვარპახოვსკისთან მუშაობა მეტად საინტერესოა მხატვრისთვის, მაგრამ ამავე დროს თავისებურად ძნელიცაა იმიტომ, რომ სანამ მხატვარს შეუხედებდეს ლ. ვარპახოვსკის უკვე მოფიქრებული აქვს ხოლმე სცენური სივრცის სრული განაწილება და დავგვგა. ე. ახვლედიანს კი მიაჩნია, რომ რეჟისორმა მხატვარს უნდა გააცნოს თავისი ჩანაფიქრი, აზრი, რომელიც აღლვებს პიესაში, შეაგრძნობინოს თავისებურად დანახული ნაწარმოების ლიტერატურული ქსოვილი, მაგრამ დანარჩენი თვითონ მხატვარმა უნდა მოიძიოს — გმირთა სცენური ცხოვრებისათვის განკუთვნილ სამყაროს მხატვარმა თვითონ უნდა მიაგნოს! მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი რეჟისორისა და მხატვრის შემოქმედების ამგვარი შერწყმა, როდესაც ორივე ერთ საქმეს აკეთებს, ოღონდ საკუთარი გზით, მისი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი საშუალებებით. მუდამ იბრძოდა ე. ახვლედიანი მხატვრის ამგვარი დამოუკიდებლობისათვის თეატრში, თუკი ამის საჭიროება აღმოჩნდებოდა. ამჯერად კი ლ. ვარპახოვსკის არაფრით არ შეუზღუდავს იგი. მხატვარმა რეჟისორს ამ წარმოდგენისათვის საჭირო ფარდა შესთავაზა სათანადო განწყობილების შესაქმნელად. ე. ახვლედიანის ესკიზზე ეს ფარდა ჭაობის ფერისაა. სცენის საბრველ უფრო ფართო იყო იგია და გვერდით კედლებს სცავდებოდა. წარმოდგენის დაწყებამდე ამ ფართო ფარდას აღიქვამდა მაყურებელი. ამის გამო, უზებურად, მის უკანაც ასეთავე ფართო სივრცეს გულისხმებდა. ილუზია ფარდის გახსნის შემდეგც გრძელდებოდა. ასე გაზარდა ე. ახვლედიანმა მ. ერმოლოვის სახელობის თეატრის მცირე სცენის მასშტაბი. ყოველი სურათის დაწყებამდე ფარდის მარცხენა კალთაზე მის წელი იყო აღნიშნული, რომლითაც ამა თუ იმ სურათში მიმდინარე ეპიზოდი თარიღდებოდა. მარჯვენა კალთაზე — თვე და რიცხვი ეწერა. ასე რომ, მრავალი სხვა საშუალებით მინიშნებული დროის მონაკვეთი ყოველ ცალკეულ სურათში კონკრეტული თარიღებითაც უზუსტდებოდა.

სექტაკლის ჭაობისფერი ფარდა ზემოთ უბე ნაოჭად იყო აყრილი. ნაოჭებს თანამ ჰქონდა გადახვევალი. ამის გამო ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, ეითქოს სცენაზე მიმდინარე ყველა სურათს ძველებური ხავერდის ჩარჩო ევლებოდა. სურათები იცვლებოდა, იცვლებოდა დრო, ამბავი. ჩარჩო კი ისევ ის რჩებოდა — ძველებური, ხავერდის, დროისაგან ჩამოჭებული. რაც უფრო ახალი იყო სურათი, მით უფრო ძველად გამოიყურებოდა ჩარჩო, თავის სიძველით განვილლ დღეებს ასხენებდა მაყურებელს — ასხენებდა, რომ დრო მიდის, იცვლება... ასე გადაწყვიტა ე. ახვლედიანმა სცენაზე სახივლად მეტყველი საშუალებებით, დროის მსვლელობის გამოკვეთის რთული ამოცანა.

დროის მსვლელობის, მისი დინების თვალსაჩინოებისთვის ე. ახვლედიანს დიდად მნიშვნელოვნად მიაჩნდა პირველი მოქმედება. ჯერ ერთი, იმიტომ რომ აქ იწყება ამბავი, მეორე — უნდადა, რომ მაყურებელს თავიდანვე განეცხად და შეეფიქროს ეპოქის თავისებურად სურნელებს. ამიტომაც პირველ სურათში ყველა დეტალს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევ

და ეს სურათი ასე გამოიყურებოდა სცენაზე: ცენტრალურ და-  
ნდაგარს, რომელზედაც მსახურთა სასადილო ოთახი იყო მო-  
თავებული, ხელმარჯვნივ მაღალი, მომრგვალებული კიბის  
საფურები მიყვებოდა. მის თავზე, ხავერდის ფარდის იქით,  
ჭირვ სართლის ოთახის კარი მოსჩანდა. მსხვერპი და კობტა  
ღიორი მოაჯირი ამშვენებდა კიბის თავს, საფურელი კი ოთხ-  
ქის ორკუთხედის სიღრმიდან იწყებოდა, ტელისმავკარ ზნე-  
ლი ხაზად ევლებოდა სცენას და ის, მიქმარებოდა სიმა-  
ლებო. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიანდა მსატკარ ამ  
მონახვის შინაარსებზე: ორ სართულად გაყოფილი სივრცე  
ჭირვ სცენის გამოყენების შესაძლებლობას ზრდიდა, მოქმე-  
დების დინამიკურ გამლას უწყობდა ხელს. ამვე დროს მათი  
წმინდა გრაფიული სახიერება შეცხრამტე საუკუნის 70-იანი  
წლებისათვის დამახასიათებელ ხასებს შეიცავდა.

განსაკუთრებული გულისყურით იყო შერეული იმდროინ-  
დელი ბურჟუაზიული ოჯახისთვის დამახასიათებელი ავეჯი:  
ძველებური შუქი ხის ტურტლის კარადა, მის თავზე ოვალურ  
ჩარჩობში წინაპართა პორტრეტები, ასეთივე შუქი ხის მა-  
ღალზურგანი ძველებური სკამები, ღრმა სავარძლები, ზე-  
თისხილისფერი მძიმე ფარდები. ავეჯის ნამდვილობას იმდე-  
ნად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ ე. ახვლიდანი საე-  
ცელალებად გაემტავრა რიგაში და წარმოდგენისთვის საჭირო  
ავეჯი იქ შეიძინა ოჯახებში. ფერთა შეხამება ხაზგასმით ძუნ-  
წი იყო: რუბი, ყავისფერი, მუქი შუგანზე. ასეთი თავგუდავება  
მსახურთა ოჯახის შემდგომ თანდათანობით გამდიდრებისა  
და ცვლილების ჩვენების საშუალებას იძლეოდა...

პიესის ძირითადი აზრის შესატყვისად (ყველაფერი იცე-  
ლება ბურჟუაზიის მტაცებლური ბუნების გარდა) დეკორატი-  
ული ყველაფერი იყვებოდა განდიდრებისა და სათანადო მო-  
დერნიზაციის გზით, მაგრამ მასშიც იყო რაღაც უცვლელი —  
ერთი ძირითადი დანადგარი. სხვადასხვა სურათში ეს დანად-  
გარი სხვადასხვანაირად გამოიყურებოდა რომელიმე ახალი  
წაწილის მომატების წყალობით. ყოველი ეს ახალი სურათი,  
რა თქმა უნდა, სხვადასხვა შინაარსს იტევდა. ამის შესატყ-  
ვისად როგორც ძირითადი დანადგარი, ისე მის გარშემო შე-  
მოყრებილი საგნები სათანადო ფუნქციით იტვირთებოდნენ  
და სტიორი განწყობილების შექმნას ემსახურებოდნენ. ამ  
შირვე ძალაში საინტერესო იყო მოთხებ სურათი. ამ სურათში  
ცვლებოდა ფრანსუაზა — ერთადერთი დადებითი აღმართი  
მსახურთა ოჯახში. ფრანსუაზა მათი მსხვერპლია. ამიტომ  
მისი დაღუპვა ერთგვარად მათი მამოხლებელი აქტია. რეჟი-  
სონმა და მსატკარმა უკუსვლით გადაწყვიტეს სცენა — რაც  
უფრო მნიშვნელოვანი და ამაღლებული იქნება ფრანსუაზას  
სიკვდილი. მით უფრო მეტ მამოხლებელ ძალას მოიპოვებს  
იგი! ამიტომაც ე. ახვლიდანის მიერ ამ სურათისათვის გათ-  
ვალისწინებული დეკორატივა განსაკუთრებით ფაქიზი იყო,  
სველიანი მძიმე მოლოდინით დატვირთული.

მოსაკვადე ფრანსუაზას მაცურებელი ვერ ხედავდა. მის წი-  
ნაზე იმლებოდა ფრანსუაზას ბუღუარის წინ მდებარე მოგარ-  
ის ოთახი. კვამლისფერ ხალიჩასა და ასეთივე ფერის მძიმე  
ფარდებში იყო გახვეული. ორივე მხარეზე მაღალი სარ-  
კები კვიდა. მათ წინ ძველებურ მანდლებში სანთლები ეთოი.  
მივიწყებოდა ალის შუქი სარკეებში ირეკლებოდა და საღამუ-



„მეღებება ცხოვრებაზე“. კოსტუმების ესკიზები

ლო განწყობილებით ავსებდა იქაურობას. შორს სიღრმეში კარ-  
რი მოსჩანდა. იმ კარს იქით კვდებოდა ფრანსუაზა. მკურნალ-  
თა თათბირი კი ავანსცენაზე მიმდინარებოდა. მანძილი სცე-  
ნის სიღრმიდან ავანსცენამდე ზანერძლივი სვლის, დატვირ-  
თული პაუზების და საერთო მიმომე განწყობილების შექმნის  
ყოველნაირ საშუალებას უქმნიდა მსახიობებს. ფრანსუაზა  
მოკვდა. დასრულდა მსახურთა ცხოვრების ისტორიის ერთი  
ამბავი. წარმოდგენაში ამის შესახებ შემდგენიარად გვატო-  
ბინებდნენ: ფრანსუაზას საწოლიდან მოხუცი მსახური გამო-  
დიოდა. მძიმე ნაბიჯით წინ მოემართებოდა. გზადგვა სანი-  
ლებს აქრობდა. სცენაზე შუქი თანდათან კლებულობდა. უკა-  
ნასკნელი სანთლის ჩაქრობას სრული სიბნელე მოყვებოდა,  
როგორც ახლა მომხდარი სველიანი ამბის დასასრული. ფრან-  
სუაზა ერთადერთი ნათელი სხივი იყო და ისიც ჩაქრა!

გმირთა ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ამბის სა-  
ხიერი გამოვლენა მსატკრულ წაწარმოებში არასოდეს არ არის  
აღვილი. თეატრში ამის მიღწევა განსაკუთრებით ძნელია იმი-  
ტომ, რომ წარმოდგენა სხვადასხვა დარგის რეჟოვანთა ერ-  
თობლივი შემოქმედების ნაღვლია. მამასადადე, სასურველ  
სახიერებასაც მხოლოდ მამონ შეიძლება მიადწიო, როდესაც  
ეს რამდენიმე სხვადასხვა რეჟოვანი ერთი აზრით გაიმსტკე-  
ლებს, მივლენისადმი ერთნაირი დამოკიდებულებით და მე-  
ტყველ საშუალებებშიც ერთბუნებოვანი იქნებიან. მამონ სი-  
ტყვის, ცოცხალი მოქმედების, ფერისა და ხაზის ძალთა დი-  
ნება ორგანულად შეერთდება და მაცურებელზე ისეთ შობაბე-  
დობას მოახდენს, რომელიც შესაძლოა საშუადამოდ ჩაი-  
ბეჭდოს აღმართის მესხიერებაში. ასეთ შობაბეჭდობას ან-  
დუნდა ფრანსუაზას სიკვდილი იმიტომ, რომ დრამატურგის,  
რეჟისორის და მსატკარის მიერ ერთად თქმული სიტყვა სახი-  
ერად გამოვლენილი ლიტერატურულ, ხედვით და ქმედით  
ენაზე, ტექმარჩტად თეატრალური სინთეზის შესანიშნავი ნი-  
შეუმი იყო.





დროის ხშირი ცვლა ე. დევალის პიესის სცენურ ხორც-შესხმას ართულებად არა მარტო დეკორატიული გაფორმების მხრივ, არამედ გმირთა შუქისთვის თვალსაჩინოთაც. ზოგიერთი გმირის ხანგრძლივი სცენური სიცოცხლე გარკვეულ ცვლილებებს თავისთავად გულისხმობდა. ამიტომ მხატვრისათვის საკმარისი არ იყო მარტო დეკორატიული გადაწყვეტის პრინციპის შერჩევა მოქმედების ადგილისათვის. ასეთივე ცვლილებები იყო საჭირო მოქმედ პირთა გარეგნობის საკითხშიც (პოპე, ასაკი, მსახიობი).

მოქმედ პირთა რაოდენობას დროის ცვალებადობის სიხშირეს თუ შეუფარდებთ, ადვილად მიხვდებით კოსტუმების როგორ სიმრავლეს და სხვადასხვაობას მოითხოვდა ე. დევალის პიესა. ჩარჩოებში მოქმედებათა მიხედვით განლაგებული ესკიზები თანმიმდევრულად რომ დაგვავლავთ, უპირველესად მათში ჩაქოვილი ლოგია და სახიერება გამოჩნდება: ყოველ ესკიზში გმირის მსახიობის წამყვანი თვისება მისი სცენური ცხოვრების კონკრეტულ პირობებს ეფარდება. ყველა ერთად კი ნაწარმოების წამყვან აზრს — ბურჟუაზიის მტაცებლური ბუნების უცვლელობას.

თეატრალური კოსტუმი სცენის დეკორატიული გაფორმების ნაწილია, ორგანულად ჩაბატული მის საერთო სურათში. ამავე დროს მსახიობის მხატვრული სახის განუყოფელი ნაწილიც. უბრალოდ წარმოადგენს დეკორაციას მანერ გარემო მსახიობისათვის, კოსტუმი კი თითქმის მის ნაწილი, ის, რაც აცვია, რაც გრძობს როგორც საკუთარს. არსად ისე არ უბლოკდებოდა მსახიობი და მხატვარი ერთიმეორეს, როგორც კოსტუმში. ამიტომ დრამატულ თეატრში მომუშავე მხატვრის შემოქმედების დონეს და ხარისხს დიდად განაპირობებს კოსტუმის შექმნის უნარი.

„ცხოვრებაზე ვედრების“ გმირთა კოსტუმების ესკიზებს რომ გადახედოთ, მათზევე შეამჩნევთ — მიუხედავად სიმრავლისა ყოველ, სულ უნიშვნელო პერსონაჟის სამოსელიც კი, ბოლომდე გააზრებული და დახვეწილია. დროის მსვლელობას მხატვარი იცავს კოსტუმებში ისევე, როგორც დეკორაციაში — თმის ვარცხნილობაში, სახმარ საგნებსა და სამკაულებში — ყველა წარმომადგენელი, თუკი ის გმირის მსახიობის გამოყვეთას მოემსახურება.

ე. დევალის პიესისთვის განკუთვნილი კოსტუმების ესკიზებში ე. ახვლედიანის, როგორც თეატრალური მხატვრის, ერთი საინტერესო თვისება გამოვლინდა. ეს თვისება ადრეც იგრძნობოდა მის ესკიზებში, მაგრამ ამჟერად განსაკუთრებული თვალსაჩინოება შეიძინა. ბევრი სხვა თეატრალური მხატვრისაგან განსხვავებით, ე. ახვლედიანი კოსტუმის ესკიზში უსწრებს არა მარტო ტანსაცმლის ფერსა და მოხატულობას, არამედ პერსონაჟის სახეს, თმის ვარცხნილობას და მსახიობისას. მსახიობი კი, როგორც ცნობილია, მხატვრულად ხარისხიან პიესაში მუდამ განვითარებაშია ჩაწვნიებული. ზოგჯერ ეს განვითარება მეტისმეტად მკვეთრია, ზოგჯერ ნაკლებად შესაბამისი, მაგრამ უსათუოდ არის. ამიტომ ე. ახვლედიანის ესკიზებში იგი მუდამ არის მიანიშნებული. მხატვრის შემოქმედებით დაინტერესებულმა პირმა ესკიზების შესწავლა უსათუოდ თანმიმდევრულად უნდა აწარმოოს, გმირთა სცენური სიცოცხლის დინების მიხედვით. იმიტომ, რომ მხატვრის მიერ

ესკიზებში ჩაქოვილი აზრები თანმიმდევრულად ერთმანებად იკითხება. ე. დევალის პიესის გმირებისათვის განკუთვნილი კოსტუმების ესკიზები ასე თანმიმდევრულად რომ დაგვავლავთ, უპირველეს ყოვლისა, შევამჩნევთ იმ რაღაც მტაცებლურს, რომელიც ჩაქოვილია ყველა წამყვანი გმირის გამოხატულებაში. ეს თვისება თანდათან იზრდება, მატლურად განსაკუთრებით შესაბამისია იგი მასპობრთა გვარის მამაკაცთა ძირითადი შტოს წარმომადგენლებში — აგრ, ყველაზე უფროსი მათ შორის ბაბუა რობერტ მასპობრს. მას მკვეთრ ყავისფერი კამპოლი აცვია, სახე უხეი ტალარა ბაქენბარდებით აქვს დაფარული. ძალიან მოზუცია, მაგრამ მაინც მტაცებელი. ბებერი ლომი — აი, პირველი, რაც გაგონდება მის დანახვაზე. აგრ მისი ვაჟი შორისი, სადა მუქ სამოსელში, ხელში სივარით. რა თამაში გამოხედვა აქვს, როგორი ხარბი თვალელები! შორისის ვაჟი — პიერი. ისიც სადად ჩაქოვილი, მაგრამ უფრო ხაზგასმით კობხად. უკუთმეორეული სამოსში. მასამხიობით მყარად დგას, წერილი უღვაში, ვიწრო თვალელები, მკაცრი შერვა, დაუნდობელი — მგელი, ნამდიდარი მგელი!

თეატრალური ტერმინოლოგიაში ცნობილი მსახიობის მხატვრული სახის ე. წ. „მარცვალი“ გმირის ისეთი თვალსაჩინოდ სახიერო გადაწყვეტის მიგნებას ნიშნავს, რომელიც სწორედ ამ ადამიანისთვისაა და მასსახიათებელი, რადან იგი შეივადე ყველაზე არსებითს — ძირითად მარცვალს, რომელზეც შემდეგ მთელი ეს პიროვნება ამოიზრდება. ეს ტერმინი მსახიობის შემოქმედებასთან დაკავშირებით იხმარება ხოლმე, ჩვეულებრივ. ე. ახვლედიანის მიერ შექმნილი ზოგიერთი კოსტუმის ესკიზი გვაფიქრებინებს, რომ ამ ტერმინის ხმარება თეატრალური მხატვრის შემოქმედებასთან დაკავშირებითაა შესაძლებელი, როდესაც კოსტუმის ესკიზი გმირის შინაბუნების „ძირითად მარცვალს“ გაგრძობინებს.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ე. დევალის პიესის ლიტერატურულ არტიტეტონიკას საფუძვლად უდევს ბურჟუაზიის ცხოვრების გარკვეული ცვალებადობა და მისი მტაცებლური ბუნების შინაგანი, არსებითი უცვლელობის პრინციპი. ამის შესატყვისად ე. ახვლედიანსაც სამეტყალის დეკორატიულ გადაწყვეტას იგივე პრინციპი დაუდო საფუძვლად — ერთი უცვლელო დანადგარი და ცვალებადი დეტალები, რომლებიც გმირთა საცხოვრებლის მოდერნიზაციის მიზნიშნული იქნებოდა. იმავე პრინციპზე დაფუძნებული კოსტუმების ესკიზებიც — გმირთა გარეგნული სახიერება იცვლება, იცვლება მათი სამოსელის ატრილობა, ფერები, სიმდიდრე, მაგრამ უცვლელი რჩება მათი მტაცებლური ბუნება, სახის სასტიკი, ზოგჯერ დაუნდობელი გამოხატულება. მიუხედავად ამისა, მხატვარს არასოდეს არ ავიწყდება ის მცირე განსხვავებებიც კი, რომელიც ადამიანთა ამ ერთი რჯულის წარმომადგენლებს შორის არსებობს. ამ შხრეც ძალიან საინტერესოდ გამოიყურება მის ესკიზებში პიერის მეგობარი მარსელ ტესონიე. ტესონიე თითქმის ისევეა ჩაქოვილი, როგორც პიერი (თანამედროვე ვეროპული სამოსელი), ისევე დგას, სახიობა თითქმის ჩამოვას მას, მაგრამ გამომეტყველება აქვს ოდნავ უფრო რბილი პიერთან შედარებით. პიერსა და მარსელ ტესონიეს შორის ეს მსგავსება განზრახვა საზგანსული მხატვრის მიერ იმისთვის, რომ აშკარად დაგვანახოს: მტაცებელთა ამ ზრო-





„ვერბა“ ცხოვრებაზე“. კოსტუმების ესკიზები

გამო თითქმის ყველა ერთნაირია, ოდნავ შესამჩნევად განსხვავდება არაფერს ცვლის არსებითად!

უკვე იყო თქმული, რომ მეოთხე სურათი (ფრანსუაზას სიკვდილი) რეჟისორისა და მხატვრის მიერ განსაკუთრებული სიღრმით და სახიერებით იყო ამოსწილი იმისთვის, რომ ფრანსუაზას — ამ ერთადერთი ნათელი სხივის დაღუპვაც მასუბრთა შიღილბას მომსახურებოდა. კოსტუმების ესკიზებს რომ გადახედოთ, უსათუოდ შეამჩნევთ, როგორ გამოირჩევა ფრანსუაზა სხვა გმირთა შორის: გამზადარი, ფერმკრთალი, გატანჯული სახე, სადად გადავარცხნილი თმები, სადა სამოსელი, სველიანი თვალები, სინაზე, სინატყფე, სულიერი მწვერიერება... ე. ახვლედიანის ჩანახატებშიც ისევე მართლა ფრანსუაზა, როგორც ე. დევალის პიესასა და ლ. ვარპახოვსკის წარმოდგენაში.

ე. ახვლედიანი თეატრალური კოსტუმების დიდოსტატია, ამიტომ რაც უფრო მეტად დააკვირდები მის მიერ შექმნილ ესკიზებს, მით უფრო ღრმად და ზუსტად ამოიკითხავ იმას, რაც მხატვარს ამა თუ იმ გმირზე უფიქრია — მის ასაკზე, ხასიათზე, პროფესიასა თუ ეროვნებაზე, როგორ გაუთვალისწინებია იმ ნაწარმოების ჟანრი, რომელშიც ეს გმირი ცხოვრობს, ავტორის მიერ მისთვის განკუთვნილი ადგილი პიესაში. რაც უფრო მცირეა ეს ადგილი, რაც უფრო ხანმოკლე გმირის შეხედრა მაყურებელთან, მით უფრო მკვეთრია და შთაბეჭდვითი მხარე გარკვევითა ე. ახვლედიანის ესკიზზე. მან იციან თეატრის საიდუმლო — ეპიზოდური როლი უსათუოდ მკვეთრი და მამატრევილი ფუნქციითაა დატვირთული, მაშასადამე, გარკვეულადაც სახიერი უნდა იყოს. სხვანაირად მაყურებელი ვერ დაამახსოვრებს, ვერ მიიღებს სათანადო შთაბეჭდილებას. ამიტომ აჭებს ასეთი გულისკურთხი დამოშავებული ისეთი უწინმეწილო პერსონაჟების გარკვევითაც კი, როგორც არიან დალაქი, მანიკურაშა, პიერის სტუმრები და სხვა.

ზოგჯერ ე. ახვლედიანი ერთ ნახატში ორ-სამ პერსონაჟს ათავსებს ხოლმე ყოველი მათგანის გარეგნობა მუდამ დაწერილებითაა დამუშავებული საჭირო დეტალებით ფესვსაცლიდან თავსამკაულამდე. მაგრამ ეს ადამიანები შემთხვევით არ აღმოჩნდებიან ხოლმე ერთ ნახატზე. ისინი ერთმანეთთან უსათუოდ გარკვეულ დამოკიდებულებასა და მიმართებაში არიან. დამდგმული რეჟისორი არ ითხოვს მხატვრისგან ამგვარ ესკიზებს. ეს არ შედის თეატრალური მხატვრის მოვალეობაში. ასე რომ, კოსტუმების ესკიზების ჯგუფური კომპოზიციები ე. ახვლედიანის ინდივიდუალური სურვილის შედეგია. რას მოწოდებს მხატვრის ამგვარი სურვილი? ე. ახვლედიანის თეატრალურ მხატვრულ ბუნებას, იმას, რომ იგი პიესის გმირებს მუდამ ერთმანეთთან კავშირში შედავს, ცოცხალ მოქმედებაში.

ე. ახვლედიანის თეატრალური მეგვიდროება დიდია და მრავალფეროვანი, ბევრი სხვადასხვა ავტორის პიესაზე უმუშავია, უამრავი სხვადასხვა დრო და ადგილი გაუცოცხლებია სცენაზე, სხვადასხვა ასაკის და შემოქმედებითი ხელწერის რეჟისორებთან ერთად უმუშავია მუსიკალურ და დრამატულ თეატრებში. (თითქმის ყველა ჟანრში.) ეს ესკიზები ერთად რომ დალაგო იქნებ გაჭირდეს კიდევ დაჯერება, რომ ყველა ერთი მხატვრის საკუთრებაა. თუმცა მათ აერთიანებთ ის რაღაც განსაკუთრებული, რომელიც ე. ახვლედიანის საერთო შემოქმედებით თავისებურებას შეადგენს და დაკვირვებელი თვალისთვის უსათუოდ შესამჩნევია. ამავე დროს თან სდევთ კიდევ ერთი თვისება, რომელიც ე. ახვლედიანის, როგორც თეატრალური მხატვრის თავისებურებაა — ფერმწერი და გრაფიკოსი, მხატვრულად დასრულებული ტილოების ცნობილი ოსტატი ე. ახვლედიანი თეატრალურ ესკიზს არასოდეს არ ხატავს როგორც დამთავრებულ სურათს. ესკიზი „აქმუშაო მსალაა მისთვის. ამიტომაც მის ესკიზზე თქვენ წახავთ მხო-



საქართველოს  
საგანმანათლებლო და მეცნიერებათა  
მინისტროს

ლოდ იმას, რაც რეალურად შეიძლება განხორციელდეს სცენაზე და რაც მართლაც იყო წარმოდგენაში. ბევრი რამ მის ესკიზში მხოლოდ იდეალისმა, ნამდვილ სიყოფილეს კი სცენაზე იქნენ — განათება და ის კონკრეტული შემოქმედებითი ფუნქცია, რომელიც აკისრია მისი დეკორაციის ყველა წვრილმანს, სცენაზე იმატება. ე. ახვლედიანი თვატრში წმინდა თვატრული სურათიანი. ამიტომაც მის მიერ სპექტაკლის გაფორმება ნამდვილი სახით მხოლოდ სცენაზე იხადება, როდესაც პიესის გმირები გამონდებიან და თვატრს მსახიობი

დაეფულება. მაშინ ცოცხლდება მხატვრის საქმიანობა. უმწველად ექსოვება წარმოდგენის ცოცხალ ქსოვილში. სპექტაკლის შემდეგ რომ დახვდით ე. ახვლედიანის ესკიზს, მაშინ მიხვდებით რა დიდი განსხვავებაა დახატულას და სცენაზე გაყოცხლებულ დეკორაციას შორის. რას იხამ, თვატრის ბუნებაა ასეთი — ყველაფერი ჭკემატიანად თვატრული ნამდვილი სახით მხოლოდ სცენაზე ცოცხლობს მსახიობის ერთად. მათ შორის ნამდვილი თვატრული მხატვარიც.

## საქართველოს კულტურის სამინისტროში

**ი**მისთვის, რომ გამდიდრდეს მუსიკალური თეატრებისა და საკონცერტო ორგანიზაციების რეპერტუარი, შემდეგმ განვიხილავთ საბჭოთა კორეოგრაფია; დიდი მნიშვნელობა ენიჭება კორეოგრაფიული ხელოვნების მოღვაწეთა მუშაობას თანამედროვეობის ამსახველი რეპერტუარისათვის, კარგ საკონცერტო-კორეოგრაფიულ ნომრებს, როგორც საბჭოთა ბალეტის პროპაგანდის პოპულარულ ფორმას ჩვენს ქვეყანაში და საზღვარგარეთ. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით სამისოდ დასახულია მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, ერთად, სამინისტრომ შეიმუშავა დებულება კონკურსისა, რომელიც ითვალისწინებს თანამედროვე თემაზე ახალი საკონცერტო კორეოგრაფიული ნომრების შექმნას, როგორც ცნობილია, დღემდე სახალტო-საკონცერტო რეპერტუარი მუსიკალურ თეატრებსა და საკონცერტო

ორგანიზაციებში შემოხვეული ხასიათი ატარებს. შეზღუდული და მოქედებულია, რის გამოც ბალეტი ძალზე ერთფეროვნად და ლარიზად არის ხოლმე წარმოდგენილი.

თანამედროვე და ისტორიულ-რეალისტური თემატიკის ამსახველი კორეოგრაფიული საკონცერტო ნომრების შესაქმნელად გამოცხადებული რესპუბლიკური კონკურსი ითვალისწინებს თეატრებისა და საკონცერტო ორგანიზაციების, კომპოზიტორებისა და ლიბრეტისტების ფართო ჩაბმას ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაში. საკონცერტო კორეოგრაფიული ნომრების სიუჟეტები შეიძლება იყოს როგორც ორიგინალური, ასე საბჭოთა მხატვრული ლიტერატურიდან. ნაწარმოებთა ეანრი — სხვადასხვა (ბეროკლარომატიკული, ლირიკული, ტრაგიკული, კომედიური და სხვ.). საკონკურსო დებულებაში ჩამოყალიბებული იქნება ავტორებ-

თან-კომპოზიტორებთან და ლიბრეტისტებთან მუსიკალური თეატრებისა და საკონცერტო ორგანიზაციების კონტაქტის ქვებზე და პირობები, ხოლო ნაწარმოების შექმნისა და დადგმის შემდეგ შუა საკონცერტო კორეოგრაფიული ნომერი წარმოდგენილი უნდა იქნეს კონკურსზე თეატრის ხელმძღვანელების, ან საკონცერტო ორგანიზაციის მიერ.

კონკურსი ჩატარდება ორ ტურად. პირველი ტური — ქ. თბილისში 1965 წლის 1 მაისიდან 25 მაისამდე. შერჩეული ნომრები შორეულ ტურის საკავშირო კონკურსზე რეკომენდირებული იქნება საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მიერ. კონკურსი ჩატარდება მოსკოვში 1965 წლის 10 მაისიდან 30 ივნისამდე.

საუეთესო საკონცერტო ნომრებისათვის ან პროგნამისათვის დადგენილია საბატო დიპლომები.

დ. ზარაფიშვილი

ჩაის პლანტაციები



ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლეთა კონცერტი. ვიოლინეტო ანსამბლი: ვუბაზ გოგაბიშვილი, ზელა ველაძე, მკენი ქსევერიძე, ირაკლი სულთანიშვილი, ალექსანდრე ასლამაზოვი, ვლადიმერ გოროშკო, ლალი კვეციანიშვილი, ალექსი ზოდუნაძე, მერაბ შერაბიშვილი, სერგო ტრუში, დავით შვეკლიაძე.



## დიდი წარმატების გზით

ლეილა კაკაბაძე



ბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლა სამართლიანად ითვლება რესპუბლიკის მუსიკალური კადრების აღზრდის ერთ-ერთ თვალსაჩინო კერად. თავისი არსებობის 25 წლის მანძილზე მან საფუძვლიანი საშუალო მუსიკალური განათლება მისცა ახალგაზრდა მუსიკოსთა მთელ პლევადს, რომელც დღეს ჩვენი მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა დარგში მოღვაწეობს და თვალსაჩინო როლს თამაშობს რესპუბლიკის მუსიკალურ ცხოვრებაში. ცენტრალურმა მუსიკალურმა

სკოლამ წარმატებით გაართვა თავი იმ პასუხსაგებ და კეთილშობილურ მისიას, რომელმაც განაპირობა მეოთხედი საუკუნის წინათ კონსერვატორიასთან მისი შექმნა. მას უნდა მიეწოდებინა უმაღლესი სასწავლებლისათვის ნიჭიერ ახალგაზრდა შემსრულებელთა მუდმივი ნაკადი, რითაც ის ხელს შეუწყობდა ჩვენი სამემსრულებლო კადრების მომზადებაში იმ დროს არსებული ხარვეზის შექმნას და ეროვნული მუსიკალური კულტურის აღმავლობას. სწორედ ამ მიზნით 1938 წელს ლიკვიდირებულ იქნა კონსერვატორიასთან არსებული მუსიკალური მუშაგაკი და მისთვის მუსიკალური სასწავლებელი, რომელთა ამოცანასაც ძირითადად მუსიკის პედაგოგთა მომზადება შეადგენდა. ხოლო მათ ბაზაზე, განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთათვის, დაარსდა სრული საშუალო მუსიკალური სკოლა, დღევანდელი ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ცენტრალური მუსიკალური სკოლა, რომელსაც მთლიანად შეუერთდა აგრეთვე კონსერვატორიასთან უკვე რამდენიმე წლის წინათ შექმნილი ე. წ. „ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფი“.

განვლილი წლების მანძილზე რესპუბლიკის სამემსრულებლო ხელოვნების აქტუალური მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, სკოლის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებები მოხდა. თავდაპირველად არსებულ საფორტეპიანო და სარეკესტრო (სიმებიანი საკრავთა) განყოფილებებს მომდევნო წლებში დემატა ჩასაბერ საკრავთა, ვოკალური და სა-



მარინე მდივანი

გუნდო-სადირიგორო განყოფილებები, რომელთაგან ორი უკანასკნელი ამჟამად ლიკვიდირებულია. რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხის ბავშვთა მოზიდვისა და მათი მუსიკალური ნიჭის ფართოდ განვითარების მიზნით სკოლასთან დაარსდა ინტერნატი. გაიხსნა აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო სექტორი. აღნიშნული განყოფილებები წლების მანძილზე საუკეთესოდ მომზადებულ კადრებს აწვდიდნენ არა მარტო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას, არამედ ჩვენი ქვეყნის სხვა უმაღლეს მუსიკალურ სასწავლებლებსაც. მათ შორის უნდა დავასახელოთ მუსიკოს-მემსრულებელთა საერთაშორის-



ლევ ვლასენკო

სო და საკავშირო კონკურსების ლაურეატები, მეგილინიები — მარინე იაშვილი და ლიანა ისაკაძე, ჩელოზე და მკერდზე — თამარ გაბარაშვილი და ზურაბ ლაშკო, პიანისტები — ელენე ვირსალაძე, მარინე გოგლიძე-მდივანი, მარგარიტა ჩაიძე, ცილა კვერნაძე, დიმიტრი ბაშკიროვი, ლეო ვლასენკო და რუდოლფ კერერი, მომღერლები — ზურაბ ანჯაფარიძე, მედეა ამირანაშვილი და ლამარა ჭყონია, რომლებმაც პირველად სკოლის კედლებში აიდგვე ფები როგორც მუსიკოსებმა და მივიგრძნეს მუსიკალური ხელოვნების უდიდესი შოამაგონებელი ძალა. დღეს ისინი არა მარტო ეროვნული, არამედ მთელი საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების საამაყეს წარმომადგენელ და წარმატებით იცავენ მის ღირსებას მსოფლიო ასპარეზზე.

სკოლის კედლებში აღიზარდნენ სახელმწიფო, საყოველთაოდ ცნობილი კომპოზიტორები, რესპუბლიკის სახალხო არტისტები და თორაძე და სულხან ცინცაძე, კომპოზიტორები: სულხან ნასიძე, ბიძინა კვერნაძე, ოთარ გორდელი, გივი ციციშვილი, ნოდარ გაბუნია, ალექსანდრე პირუმივი, ედუარდ აბრამიანი, თამარ გვახავა, იაკობ ბობოხიძე, მამია ბურუკაშვილი, შალვა დავითაძე და სხვები, რომელთა უმრავლესობა უკვე სკოლაში სწავლის პერიოდში საშემსრულებლო ხელოვნების პარალელურად ეუფლებოდა კომპოზიციას.

გარდა ზემოთ დასახელებული მომღერლებისა, რესპუბლიკის საშემსრულებლო კულტურის სფეროში უღიძვრებოდა წარმომადგენელი, სკოლის ყოფილი მოსწავლეები: თამარ თათკეციშვილი, თენგიზ მუშუკუაძიანი, თენგიზ ზაალაშვილი, ირაკლი შუმხიაი, ნოდარ ჯაფარიძე, ოთარ ბაბქაძე და სხვები, ხოლო საგუნდო-სადირიგორო განყოფილების აღზრდილი — ანზორ კახსაძე, გურამ ბაქრაძე, ავთანდილ განუგრაფა და სხვები სათავეში ჩაუდგინენ და წარმატებით უძღვებიან რესპუბლიკის დიდი საგუნდო კოლექტივების მუშაობას.

ამავე სკოლაშიაფარებულიდან ბევრი მუსიკისმცოდნის საპეციალობას დაეწაფა და მრავალმხრივ ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით, პუბლიცისტურ და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. ესენია ელენე ძიძაძე, ანტონ წულუკაძე, გულბათ ტორაძე, ვლადიმერ გოგოტიშვილი, შვია იაშვილი, ელისაბედ ბალანჩივაძე, დოდო გოგუა, ვენიამინ გურევიჩი, ნანა ჭავთარაძე და სხვები.

ამჟამად, სკოლის აღზრდილთა უმრავლესობა რესპუბლიკის მუსიკალური დაწესებულებების ძირითად ბირთვს შეადგენს და ჩვენს მუსიკალურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებს. მათ შორის არიან თვალსაჩინო პიანისტები; თენგიზ ამირაჯიბი, ალექსანდრე ნიგარაძე, ნოდარ გაბუნია, რევაზ ასბაიშვილი, რუსუდან ზოჯავა, მეგილინიები: იური ცხომელიძე და პარი ოქროპირიძე, დირიგორები: გივი აზმაიფარაშვილი, ჯანსუღ კახიძე, თეიმურაზ კობახიძე და სხვები.

ამგვარად, ცენტრალურმა მუსიკალურმა სკოლამ ფუძე დააყენა და ფართო ასპარეზზე სამოღვაწეოდ გზა გაუხვია ნიჭიერ ახალგაზრდა მუსიკოსთა მთელ თაობას, რითაც მისმა პედაგოგებმა ღირსშესანიშნავი ფურცლები ჩასწერეს საბჭოთა მუსიკალური პედაგოგიის ისტორიაში.

ალანონიშნავია, რომ სკოლაში იმთავითვე უდიდესი ყურა-



ნინო ჰერცაქძე



დიდი ნაწილი დღესაც ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს მუშაობას.

კონსერვატორიის პროფესორ-პედაგოგების ჩაბმა მუშაობაში წლების მანძილზე ღირსშესანიშნავ ტრადიციად იქცა, რაც იძლევა მოსწავლეთა პროფესიული აღზრდის უწყვეტად წარმართვისა და ერთიანი ხელმძღვანელობის განხორციელების შესაძლებლობას.

უფროსი თაობის სახელოვან პედაგოგთა გვერდით დაწინაურდნენ და მათ მხარში ამოუდგნენ საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგები: გ. სვანიძე, მ. აგლაძე, ე. მგალობლიშვილი, ნ. გარეჯილაძე, ნ. ჩიჭვანი, თ. ფხაკაძე, ნ. მისანიჭოვი, სარჯ. განყოფილების პედაგოგები შ. შანიძე, ნ. პოლოსოვი, ნ. რობიჯაშვილი, თ. მელიქ-ნუბაროვა, გ. ხატიაშვილი, ი. ჭეიშვილი, თეორიული საგნების პედაგოგები: ნ. ოცხელი, თ. ხუროშვილი, ქ. თუმანიშვილი, შ. თოდუა, ა. ქავთარაძე, ნ. მუსხელიშვილი, პედაგოგი კომპოზიციაში ა. შავერზაშვილი.

უკანასკნელ წლებში სკოლაში სამუშაოდ მოვიდნენ ახალგაზრდა დამწყები მუსიკოსები, რომელთაგან უმრავლესობა ცენტრალური მუსიკალური სკოლის ყოფილი მოსწავლეებია. ცენტრალური მუსიკალური სკოლის ცხვირებში წარუშ-

დლება ექვეოდა პედაგოგიური ძალების შერჩევას, როგორც მოსწავლეთა მუსიკალურ აღზრდაში წარმატებათა მოპოვების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას.

სკოლის ორგანიზატორებმა და პირველმა ხელმძღვანელებმა — გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ, პროფესორმა ა. ფაღავამ და საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, პროფესორმა გ. თაქთაქიშვილმა, რომელიც 1939/40 სასწავლო წელს ჩაუდგა სათავეში სკოლას, როგორც დირექტორი, სამუშაოდ მიიწვიეს კონსერვატორიის წამყვანი პროფესორები და პედაგოგები: ი. აიხბერგი, ა. თულაშვილი, ა. ვირსალაძე, ლ. ტრუსკოვსკი, ვ. ვილშაუ, კ. მინარი, დ. გროსმანი, ე. კაპელინიცი, ა. ბალანიჭივაძე, ი. ტუსუა, ს. ბარხუდარიანი, ლ. შიუკაშვილი, ლ. იაშვილი, ნ. კოხმინსკაია, ვლ. დონაძე, პ. ხუჭუა, შ. ასლანიშვილი, ა. სვანიძე, ე. შიუკაშვილი, თ. ჩარეჭიშვილი, თ. ჩხარტიშვილი, ვ. ბუგდანოვი, მ. ფთიშვილი, ე. მანდინოვა და რესპუბლიკის გამოჩენილი პედაგოგები: ე. ჩერნიავსკაია, ე. ქიქოძე, ს. გაბუნია, ქ. ლორთქიფანიძე, დ. სლიანოვა და სხვები. შეიქმნა ძირითადი პედაგოგიური ბირთვი, რომლის შემადგენლობის

ნანა იაშვილი




მევიღონეთა ანსამბლი: ნინო დვალა, ლილი ანთაძე, ალექსი შანიძე, ანატოლი ბელიკოვი, ალექსი ბურდულა, ვიქტორ კონიავეი, პოლნა ჩიქოვანი, მამუკა დოლიძე






ალექსი თორაძე



ერვინ კამლოვი



დომინტი ბაშვიროვი



ლევი კვალი დასტოვებს და მუშაობის განსაკუთრებული გაქობველება გამოიწვიებს დიდი სამამულო ომის წლებში თბილისში მცხოვრებმა საბჭოთა ხელოვნების გამოჩენილმა წარმატებულმა, პრაფესორებმა: ა. გულდენფეიზერმა, კ. ივანოვმა, ა. ფანინგერმა, ე. გუვიკოვმა, ბ. სიბორიმ, ა. გაუკმა, კ. ერდელმა და პედაგოგმა მ. მეტელინივილიმა, რომლებიც მიწვეულ იქნენ სკოლაში სამუშაოდ. მათი წყალობით ცენტრალური მუსიკალური სკოლა საქვეყნოდ განთქმულ მოსკოვის კონსერვატორიის პედაგოგიურ და სამეცნიერებლო პრინციპებს ეჯიარა.

სკოლის კოლექტივი აქტიურადაა ჩაბმული რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრების ფერხულში და ცოცხლად ეხმარება მის ყოველ მოთხოვნას. დიდი სამამულო ომის წლებში მან გააჩნა ფართო საშუაო მუშაობა. მოსწავლეუთაგან შემდგარი საკონცერტო პრიგადები სისტემატურად გამოდიოდნენ სხვადასხვა საშხედრო ნაწილებსა და ლაზრეთებში. იმართებოდა მოსწავლეთა სპეციალური ღია კონცერტები, რომელთა შემოსავალიც მთლიანად გადადიოდა საბჭოთა არმიის თავდაცვის ფონდში და ხმარდებოდა ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს.

სკოლა ღირსეულად მოემზადა 1961 წელს ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში მონაწილეობისათვის. გამარჯვებულთა შორის აღმოჩნდნენ როგორც სკოლა დამთავრებულები, ისე სკოლის მოსწავლეები ა. ნივარაძე, ჯ. ბალანჩივაძე, პ. დიმიტრიადი, ლ. ისაკაძე, ი. იაშვილი, რ. ჯანდიერი, ე. ისაკაძე, ე. ლუესი და სხვები, რომელთაც ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა ლაურეატის საპატიო წოდება დაიმსახურეს.

სკოლის მოსწავლეთა საწვენებელი, ღია აკადემიური და პედაგოგთა კლასის კონცერტები, რომლებიც ყოველწლიურად ტარდება, დედაქალაქის მუსიკალური საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს იწვევს. მათი სამეცნიერებლო დონე პროფესიული თვალსაზრისით იმდენად მაღალია, რომ იგი ყოველთვის რესპუბლიკის მუსიკალური ცხოვრების საინტერესო მოვლენად იქცევა.

შარშან სკოლის საუვეთესო მოსწავლეები წარდგნენ მოსკოვის საზოგადოებრიობის წინაშე, სადაც კრემლის თეატრში გაიმართა ცენტრალური მუსიკალური სკოლის, თბილისის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სასწავლებლისა და მხატვრული თვითმოქმედების კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის მოსწავლეთა გაერთიანებული კონცერტი.

მიმდინარე წელს თბილისის მუსიკალურმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა სამშობლოს წინაშე ვალმოხდილი სკოლის დაარსების 25 წლისთავი. ამ ღირშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე, რომელიც 26 აპრილს გაიმართა კონსერვატორიის დიდ დარბაზში, თავი მოიყარეს რესპუბლიკის ხელოვნების და დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, მოძვე რესპუბლიკეობისა და სხვა ქალაქებიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, მოსწავლე ახალგაზრდობამ და მუსიკის მოყვარულებმა. პრეზიდენტის არიან საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თ. ბუაჩიძე, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ა. დვალისვილი, სკოლის დირექტორი გ. სვანიძე და მოადგილე შ. თოდუა, რესპუბლი-

კის მუსიკალური ხელოვნების გამოჩენილი წარმომადგენლები, სხვადასხვა მუსიკალური სასწავლებლებისა და სკოლების ხელმძღვანელები, სკოლის ყოფილი მოსწავლეები, საერთაშორისო და საკავშირო კონკურსების ლაურეატები, რომლებიც საგანებოდ ჩამოვიდნენ მოსკოვიდან სახეიშო საღამოში მონაწილეობის მისაღებად. მათთან ერთად არის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის IV კურსის სტუდენტი ელისო ვირსალაძე და სხვები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ ა. დვალაშვილმა, რომელმაც აღნიშნა სკოლის დიდი მიღწევები რესპუბლიკის მუსიკალური კადრების აღზრდის საქმეში. სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა პროფესორ პ. ხუტუას, რომელიც ეხება სკოლის მივლი კოლექტივის, მისი ცალკეული განყოფილებებისა და პედაგოგების ნაყოფიერ საქმიანობას განვლილი წლების მანძილზე. ტრიბუნაზე ერთიმეორეს სცვლიან სხვადასხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. ისინი გულთბილი მისასალმებელი სიტყვებით მიმართავენ სკოლის კოლექტივს. მათ შორის არიან ე.მ. დარჯინის სახელობის რიგის სპეციალური საშუალო მუსიკალური სკოლის წარმომადგენელი — ი. არაიხი, პროფესორ სტოლიარსკის სახელობის ოდესის მუსიკალური სკოლა-ინტერნატის წარმომადგენელი — ნ. სოროჩევა, ფოთის მუსიკალური სკოლის დირექტორი მ. აინინდერი. თბილისის მუსიკალური სასწავლებლებისა და სკოლების პედაგოგიური კოლექტივების სახელით სიტყვას იღებს საქართველოს სსრ დამსახურებული პედაგოგი, თბილისის მეოთხე მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი ქ. ჯიქია. საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის წევრთა სახელით მისასალმებელ სიტყვას წარმოთქვამს რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საქართველოს სსრ კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, კომპოზიტორი და თორაძე აღნიშნა რა სკოლის დიდი ღვაწლი მუსიკოსთა თაობების მომზადებაში, მან მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ „აღზრდილთა საქმიანობა თავიდან ბოლომდე გასწავლისნებულება იმ კეთილშობილური თვისებებით — შრომისმოყვარეობით, საქმისადმი პრაფესიული დამოკიდებულებით, ეროვნული კულტურის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობითა და მისდამი უანგარო სამსახურის სურვილით, რომელთა განმტკიცებისათვის დაუღალავად იბრძოდნენ და ძალას არ იშურებდნენ მისი სახელოვანი პედაგოგები“. ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორატისა და მთე-



ელისო ვირსალაძე

ლი კოლექტივის სახელით გამოდის მუსიკისმცოდნე გ. ტორაძე. მისი სიტყვით 25 წლისავე დასრულდა ამ საღამოს დელო დაწესებულების სიყრმის პერიოდი. მან იმედი გამოთქვა, რომ სიმწიფის ასაკში ჯადამდგარი სკოლის კოლექტივი კიდევ უფრო დიდი მიღწევების გზით ივლის წინ. სკოლის ყოფილ მოსწავლეთა სახელით საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ლეო ვლასენკო მაღლობას გამოსთქვამს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის და განსაკუთრებით თავისი პირველი მასწავლებლის, პროფესორ ანასტასია დავითის ასულ ვირსალაძის მიმართ, რომელნიც ესოდნე დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენდნენ მოსწავლეთა მიმართ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ

ლანა ისაყვი



რევაზ მახაბული





მარინე იაშვილი

უ. ობოლაძემ გამოაცხადა სასაზღო განათლების დარგში  
ლაგადებული და ნაყოფიერი მუშაობისათვის სერგოის ქელ-  
გოგების გ. სვანიძის, შ. თოდუას, თ. გრიგორას, ე. ჩხინი-  
სკაიას, ლ. შიუკაშვილის, ს. გაბუნას, ნ. პოლსოვის, თ. ბუ-  
როშვილისა და ნ. ფიფიას „სასაზღო განათლების წარჩინე-  
ბულის“ სამკრდრე ნიშნით დაჯილდოების შესახებ.

დასასრულს სიტყვით გამოვიდა სკოლის დირექტორი, ხე-  
ლოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. სვანიძე, რომელმაც  
მთელი კოლექტივის სახელით მადლობა გადაუხადა სახეიშო  
საღამოს ყველა მონაწილეს და დამსწრებს. დარბაზი გულთბი-  
ლად შეხვდა გ. სვანიძის სიტყვებს, რომლებითაც მან მად-  
ლიერების გრძობით მოხსენია სკოლის ყოფილი დირექტო-  
რი, პროფესორი გიორგი მიხეილის ძე თათიაშვილი და სას-  
წაულო ნაწილის ვახტე, ანა გიორგის ასული ჩიკვაძე, რომ-  
მელთა სახელთანაც, როგორც მან აღნიშნა, — „განუზრელა-  
დაა დაეკავშირებულა ცენტრალური მუსიკალური სკოლის  
პირველი თვალსაჩინო მიღწევები — ერთსულგოვანი კოლექტი-  
ვის შექმნა და სკოლის ავტორიტეტის განმტკიცება“.

სახეიშო საღამოს საუკეთესო ნაწილი იყო მოსწავლეთა  
კონცერტი, რომლის პროგრამა ისე მრავალფეროვნად იქნა  
შედგენილი, რომ მან თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინა სკოლის  
დღევანდელი სახე, მოსწავლეთა აღზრდაში ამჟამად არსებუ-  
ლი მიღწევები. დამსწრეთ შესაძლებლობა მიეცათ გასცნო-  
ბოდნენ სხვადასხვა საშემსრულებლო კლასებისა და ასაკის  
მოსწავლეებს. სკოლის ღირსებას იცავდნენ საუკეთესოთა შო-  
რის საუკეთესონი: საორკესტრო განყოფილების მესამეკლასე-  
ლი მვეილინე ქეთევან თუმშალიშვილი (პედაგოგ ნ. პოლო-  
სოვის კლასი), მებუთეკლასელი მვეილინე რუსუდან გვასა-  
ლია (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ  
რევაზ მაჩაბელი (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის  
ი. ჭეიშვილის კლასი) და მეცხრეკლასელი ნინა იაშვილი (ხე-  
ლოვნების დამსახურებული მოღვაწის პროფესორ ლ. იაშვი-  
ლის კლასი), საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეები:  
მეექვსეკლასელები ალექსი თორაძე (რესპუბლიკის დამსახუ-  
რებული პედაგოგის რ. როფიკის კლასი) და ნინო ჭიარაძე  
(ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. შიუკაშვილის  
კლასი), ამავე პედაგოგის მეცხრეკლასელი მოსწავლე რუსუ-  
დან ვაგაშვილი, მერვეკლასელი მარინე თუმშალიშვილი (ხე-  
ლოვნების დამსახურებული მოღვაწის თ. ჩარქეიშვილის კლა-  
სი) და მეთათ კლასის მოსწავლეები თამაზ ბუაძე (პედაგოგი  
ნ. მიახნიკოვის კლასი) და ურვიან კამალოვი (ხელოვნების  
დამსახურებული მოღვაწის თ. ჩხარტიშვილის კლა-  
სი).

კონცერტის ღირსეულ „პროლოგსა და ეპილოგს“ წარმო-  
ადგინდა დასაწყისში ჩელოზე დამკვრელთა ანსამბლის (რეს-  
პუბლიკის დამსახურებული პედაგოგის თ. მელქი-ნუბაროვას  
კლასი), ხოლო დასასრულს მვეილიონეთა ანსამბლის გამოს-  
ვლა (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის შ. შანიძის  
კლასი). კონცერტი გადაიქცა მოსწავლეთა დიდი მუსიკალურ-  
ი ნიჭის, მაღალი პროფესიული მონაცემებისა და მომზადე-  
ბის და, რაც მთავარია, ნაწარმოებთა შემოქმედებითად გააზ-  
რებისა და შესრულების უნარის დემონსტრაციად. მან გვიჩ-



ქეთევან  
თუმშალიშვილი



კოლა კვიციანიძე

განა ცენტრალური მუსიკალური სკოლის ღირსშესანიშნავი სამშენებლო ტრადიციების ცხოველყოფილობა.

მოსწავლეთა ძალებით ჩატარებულმა კონცერტმა მსმენელები კვლავ აღავსო რწმენით, რომ ცენტრალურ მუსიკალურ სკოლამ ამჟამადც ბევრი ჭეშმარიტი ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეა, რომლებიც ახლო მომავალში შეაქვებენ მოწინავე მუსიკოსთა რიგებს.

ცენტრალური მუსიკალური სკოლის დაარსების 25 წლის-ათვის მიეძღვნა აგრეთვე კონცერტი, რომელიც გაიმართა ზ. ფა-ლაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სა-ხელწიფო აკადემიური თეატრის შენობაში. ამჟამად მისი მო-წაწვილები იყვნენ სკოლის აღზრდილები, ფართო საშემსრუ-ლებლო ასპარეზზე გამოსული მუსიკოსები, რომელთაც მუსი-კოს-შემსრულებელთა საერთაშორისო და საკავშირო კონკურ-სების ლაურეატის მადალი წოდება მოიპოვეს. თავის შესავალ სიტყვაში პროფესორი პ. ხუჭუა შეეხო თითოეული მოწაწვი-ლის ხანმოკლე, მაგრამ წარმატებებით აღსავსე მოღვაწეობას და გაამუქა მათი სამშენებლო მანერის ინდივიდუალური თვისებებზე. მსმენელების წინაშე წარდგენა მკაფიო შე-მოქმედებით მონაცემების მქონე შემსრულებლები: მევი-ოლინე ლიანა ისაკაძე, პიანისტი მარგარიტა ჩხეიძე, ჩელოზე დამკვრელი თამარ გაბარაშვილი, პიანისტები: ელისო ვირსა-

ლაძე, ცილა კვერანძე, ლეო ვლასენკო, მევიოლინე მარინე იაშვილი და პიანისტი მარინე გოგლიძე-მდივანი. მამარჯანიშვილი ნელთა მხურვალე მოწონება დაიმსახურეს.

ცენტრალური მუსიკალური სკოლის დაარსების 25 წლის-ათვის მიეძღვნა აგრეთვე კონცერტი, რომელიც გამართეს თბილისში დ. ბაშკიროვმა, ლ. ვლასენკომ, მ. იაშვილმა, ც. კვერანძემ. თ. გაბარაშვილმა, ე. ვირსალაძემ და მ. გოგლი-ძე-მდივანმა.

საზეიმო საღამოთი და კონცერტებით შეჯამებულ იქნა ცენტრალური მუსიკალური სკოლის პედაგოგიური კოლექტი-ვის დაულაღვი, ენერგიული შრომის შედეგები 25 წლის მან-ძილზე. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ მუსიკალური კადრების აღზრდაში მოპოვებულ წარმატებათა წყალობით სკოლამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეროვნული მუსიკა-ლური კულტურის განვითარებაში.

თბილისის მუსიკალური საზოგადოებრიობა აღსაყვარ-რწმენით, რომ სკოლა კიდევ მრავალ ღირსეულ მუსიკოსს გა-მოზრდის და ფეხზე დააყენებს, რისი საწინდარიცა ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის შესანიშნავი მუსიკალური მონაცე-მები და პედაგოგთა შრომითი შემართება, რომელნიც პირ-ნათლად და კეთილსინდისიერად ემსახურებიან ჩვენს ქვეყანა-ში მუსიკალური კადრების მომზადების საქმეს.

ღარბაზი საიბილეო საღამოზე





დიდრო თავის შრომაში — „პარადოქსი მსახიობზე“ თუ მთლიანად მივედროთ შთაონებს? შესაძლებელია კვლავ ფიური და ერთადერთი გზაა გამოსატული სტანისლავსკის ფორმულაში — „შეცნობილი ფსიქოტექნიკის გზით შექმნა მსახიობის ქვეშეცნობილი შემოქმედება?“ თვითველ სახეში უნდა ჩანდეს პიროვნების განმსახივრებელი ხელოვანი თუ ფი სახეში უნდა კვდებოდეს? ასეთი კითხვები უპარავია და ანე-ლად თუ მოიძებნება ორი მსახიობი (თუნდაც თანამოსაზრე ხელოვნებაში), რომლებიც ერთნაირ პასუხს გაგვეცემენ ამ კითხვებზე.

შემოქმედების ფსიქოლოგია ყველაზე რთული და ნაკლებად შესწავლილი პრობლემაა თეატრში. ის შეიძლება შევადაროთ თეთრი ლაქებით დასერილ რუკას. ერთნი ამტკიცებენ, რომ მსახიობს შეუძლია გადმოგვეცეს ღრმა ადამიანური განცდები გონების მხოლოდ შეგნებული, გულგრილი დაძაბულობით. მეორენი სრულიად საწინააღმდეგო აზრს იზიარებენ. კამათობენ თეორეტიკოსები, რეჟისორები, მსახიობები, თვითველი თავის გამოცდილებას ეყრდნობა. ეს დისკუსიები ყოველთვის სასარგებლოა, მიუხედავად იმისა, რომ მის მონაწილეებს ჭეშმარიტება სხვადასხვანაირად ესახებათ, რადგანაც ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებათა დაპირისპირება (თუნდაც ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ) საბოლოო ანგარიშში ხელს უწყობს ჭეშმარიტების გამოვლენას.

ამ მიზნით 20-იან წლებში ხელოვნების სახელმწიფო აკადემიის თეატრალურმა სექციამ ჩაატარა ექსპერიმენტი, რომელსაც დღემდე თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს. 1923 წელს ნ. ფურსის, ლ. გურევიჩის, ა. პეტროვისა და თეატრის სხვა დიდ მოღვაწეთა მონაწილეობით, მსახიობებთან რეჟისორებთან კონსულტაციის შედეგად შედგა დაწერილობითი ანექტა მსახიობის შემოქმედების ფსიქოლოგიის შესახებ. ანექტა 68 კითხვისაგან შედგებოდა. მათზე პასუხები ხელს შეუწყობდა მსახიობის შემოქმედებითი ლაბორატორიის ყველაზე ფარულ მხარეებში ჩაწვდომას. კითხვარის შემდგენლები ადრთხილებდნენ, რომ მოპასუხეთა ნებათთვის გარეშე არავითარი მასალა არ დაიბეჭდებოდა. ეს კი მათ დიდი გულანდობლობისკენ მოუწოდებდა. და მართლაც, შევსებული ანექტები მეტად საინტერესო და გულწრფელია. ამ ანექტებს არა მარტო შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს, არამედ თეორიულად და პრაქტიკულადაც დიდად საინტერესოა. მათში ყველაფერი ისე ელერს, თითქოს დღეს იყოს დაწერილი.

ანექტები დაგზავნა სცენის საუკეთესო ოსტატებს და შვიდი წლის განმავლობაში 1930 წლამდე ხელოვნების სახელმწიფო აკადემიამი მთლიანად პასუხები. მათ შორის არის მ. ერმოლოვს, ე. ლუგოვსკაის, ვ. ლუქსკის, ა. პეტროვის, ვ. კარალოვის, მ. ჩუბოვის, მ. ბლუმენტალ-ტამარინის, პ. გაიდებუროვის, ა. კონენინის, ვ. მასალიტინოვის, მ. ბაბანოვას, ნ. ხმელოვის და სხვათა პასუხები.

\* \* \*

ეროვნული თეატრებიდან ანექტა მხოლოდ შესანიშნავ ქართველ დრამატულ და კომიკურ მსახიობს მარიამ (მაკო) საფაროვა-აბაშიძეს გაეგზავნა.

ქართული სცენის გამორჩეული ოსტატი მარიამ საფაროვა-

# მ ა რ ი ა მ

## საფაროვა-აბაშიძე

### თავის თავზე

მიხეილ დოლინსკი, სიმონ ჩერტოკი

მოსკოვში სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში მუშაობის დროს წავაწყდით მარიამ საფაროვა-აბაშიძის ხელმოწერილ, დღემდე გამოუქვეყნებულ, უცნობ დოკუმენტს, რომელშიც მსახიობი მოგვითხრობს თავის თავზე და შემოქმედებაზე. ვიდრე მოვიყვანდით თვით დოკუმენტს, გაგაცნობთ მის ისტორიას.

\* \* \*

გარდასახვა თუ მოჩვენებითობა სცენაზე? ყველაფერი გათვალისწინებით როლში ბოლომდე, როგორც ამას გვიჩვენებს





ამაშივე მოდევანთ იმ რიცხვს გვეთვინს, რომელთაც გასული საუკუნის 60-იან წლებში შექმნეს ქართული თეატრი და დიდი როლი ითამაშეს მის შემდგომ განვითარებაში.

